№ 3028
ხუთშაბათი,
16 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 3028
ხუთშაბათი,
16 მარტი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ. თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით, პირველ გვერდზე—15 კ., მეოთხე—10 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ეკლ. ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლისა და ამ. გამოცემათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1906

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქციაში არ ინახავს ხოლო გრძელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

1906 წელს „ცნობის ფურცელი" სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათის და დიდი უქმეების შემდეგ. დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი გადიდებული იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქაღალდი. ქაღალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან.
ერთის თვით 50 კაპ.

საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან.
ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა ახალგაზრდა ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

ადრესი: Тифлисъ. редакція „Цнобисъ Пурцели".

ამ წლის 25 მარტს გამოვა

ყოველ კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ნობათი"

სრულის პროგრამით.

ფასი გაზეთისა ერთის წლით 5 მან., 25 მარტიდან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება მხოლოდ 3 მანეთად. ცალკე ნომერი 10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება: ტფილისში—1. „ნობათის" რედაქციაში (ორბელიანის ქ., № 6); 2. ბიურო „სტრელიკ"-ში (ს. სახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. ეზოში); 3. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბ. შ. ქურხულიშვილთან. ქ. ქუთაისში—ბ. ისიდორე კვიცარიძესთან (ამხანაგობა „კოლხიდა").

კნ. ნატალია ალმასხანის ასული ერისთავისა გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პოლკოვნიკის თავად

კონსტანტინე დიმიტრის ძის ერისთავისას.

გარდაცვალებულის გვამს გამოასვენებენ თოფურიას სავადმყოფოდან ხუთშაბათს, 16 მარტს. დილის 9 საათზე (ნ.—1—1)

სვიმონ გივის ძე, ნინა ნიკოლოზის ასული, გიორგი სვიმონის ძე და მატრონა სვიმონის ასული გვერდწითლები, მარიამ სვიმონის ასული მაღრაძისა, ნატალია სვიმონის ასული ყიფიანისა და კნ. ლიზა სვიმონის ასული ვეზირიშვილისა და აგრეთვე ობლები თავ. ციციშვილისა—კოსტა, ანნა, ნინა, პავლე და თომა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი ორი—შვილის, მეორენი—ძმის, ხოლო მესამენი—ბიძის

პეტრე სვიმონის ძის გვერდწითელისას.

დაკრძალვა იმავე სოფლის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. გორის მაზრაშისოფელს ხცისში შაბათს, 18 მარტს, დილის 10 საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე. (2—114—1)

ახალი რესტორანი „ავრორა"

ვენოსი, რომელსაც „არარატი" ეკუთვნოდა. მიხაილოვის ქ., ბერელაშვილის სახლი, № 5, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად).

რესტორანი საუკეთესოდ არის მოწყობილი, სამაგალითო სისუფთავე, მშვენიერი საჭმელები და ზრდილობიანი მოპყრობა. რესტორანთან არის პატარა ბაღი და ცალკე კაბინეტები. მზადდება ყოველნაირი საჭმელები. ღვინო საუკეთესო ფირმებისა. როგორც საჭმელი, ისე ღვინო იაფად. სადილები: ორი კერძი, ერთი არაყი, ერთი ჭიქანი ღვინო ან ლუდი—50 კაპ., სამი კერძი, ერთი არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—80 კაპ.; ოთხი კერძი, ერთი არაყი, ნახ. ბოთლი ღვინო ან ერთი ბოთლი ლუდი და ყავა—1 მან.

მარტის დამლევიდან რესტორანთან იქნება ბილიარდები გოცის ფაბრიკისა.

(თვ.—1) პატივის ცემით ვანო და გიგო.

არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

11 დეკემბრის 1095 წლის უმაღლესის ბრძანების მე-II §§-ის ძალით, ტფილისის მაზრის საქალაქო ამომრჩეველთა კრებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ: 1) ვისაც ტფილისის მაზრის ქალაქებში და საქალაქო ადგილებში არა ნაკლებ ერთის წლისა საკუთრებად ან სიკვდილამდე სამფლობელოდ აქვს უძრავი მამული, რომელზედაც გაწერილია სახელმწიფო ან ქალაქის, საერობო გადასახადი; 2) ვისაც ტფილისის მაზრის საზღვრებში არა ნაკლებ ერთი წლისა სამრეწველო საქმე აქვს, რომლისთვისაც სამრეწველო მოწმობა აქვს აღებული; 3) ვისაც ტფილისის მაზრის საზღვრებში არა ნაკლებ ერთი წლისა ბინის გადასახადი უხდია; 4. ვისაც ტფილისის მაზრის საზღვრებში არა ნაკლებ ერთი წლისა უხდია ძირითადი სამრეწველო გადასახადი. 5. ვისაც არა ნაკლებ ერთის წლისა ტფილისის მაზრის ქალაქებში ბინა უქირია და 6. იმ პირთ (გარდა დაბალ მოსამსახურეთა და მუშებისა), რომელნიც ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობენ ტფილისის მაზრაში და იღებენ ჯამაგირს, ან პენსიას სახელმწიფო, საერობო საქალაქო, ან წოდებრივ დაწესებულებებიდან ან კიდევ რკინის გზაზედ. ვისაც ამ არჩევნებში სურს მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს განცხადებები და შესაფერი მოწმობები ტფილისის ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის ორამდე. განცხადებათა გამოგზავნა ფოსტითაც შეიძლება. (1—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთა მიღება ყოველდღე, კვირეების გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი,
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
მ. ზ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისისა, ვენერიული და ქირურგიული ავადმყოფობანი.
ა. ი. ჩოქლიშვილი: 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელის ავადმყოფობანი.
ა. ჰ. ყარაპეტიანცი: 1—1½ ს. შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ა. ი. შჩერბინინა: 1½—2 ს. საბებიო და ქალთა ავადმყოფობანი.
ზ. ი. ვურბინოვი: 1—2 ს. ქალისა და საბებიო ავადმყოფობანი.

საღამოობით:

ა. მ. პუზინოვი: 5—6 ს. შინაგან და ბავშვთა ავადმყოფობანი და ყვავილის აცრა.
ნ. ზ. აზიანცი: 6—7 ს. შინაგან ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი: 7—7½ ს.

რჩევა-დარიგების ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისთვის მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіана Тиф. мест. противъ памятника Воронцова. (წლ.)

სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

ტფილისში

მუდმივის საწოლებით, ელისავეტინსკის ქუჩა, 101, ტელ. 1026.

მიიღებიან გარედან მოსიარულე ავადმყოფნი

მ. ზ. ადაჯანოვი. 1—2 ს. შარდისა, ვენერიულ, სიფილისის და ტყავის ავადმყოფობანი.
ე. ნ. მზიაზაროვი. 11—12 ს. ნერვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი ელექტრონით წამლობა.
ვ. ნ. დიმიდოვი. 11—12 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
ზ. ა. ტატევოსოვი. 12—1 ს. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობანი.
ი. მ. ავეტისოვი. 12—1 ს. ქალის ავადმყოფობანი და ბებიაობა.
მ. ზ. ქიმონტი. 1—2 ს. სადოსტაქრო ავადმყოფობანი.
მ. რ. ილჩიევი. 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურის ავადმყოფობანი.
ვ. ა. ბეიერი. 1—2 ს. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

სამკურნალოსთან შეიძლება ჰიპნოტიზმით მკურნალობა, მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები მორიგებითა. სასტაციონერო განყოფილება შეიცავს საზოგადოატას და ცალკე ოთახებს. (150—55)

„ახალ დროების" რედაქციისაგან.

მოულოდნელ დაბრკოლებათა გამო გაზ. „ახალ დროების" გამოცემა დროებით შეჩერებულია.

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთ 6—7 ს.-მდე ყორღანოვის ქუჩაზე (ვერაზე) საკუთარი სახლი № 20. ტელეფონი 791.

[illegible]

მედიცინის დოქტორი
ზ. ა. ახვერდოვი

დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან და განაახლა მიღება საშარდეს და სიფილისიან ავადმყოფებისა, დილით 12—1 ს., საღამოთი 6—8 ს., კუკია. სემენოვსკის ქუჩა. № 20 (თვ.—7)

მედიცინის დოქტორი
გრიგოლ იოსების ძე გურგენოვი,

რომელიც ხარკოვის უნივერსიტეტის საბებიო და საგინეკოლოგო კლინიკის შტატის ორდინატორად იყო, იღებს საბებიო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს. ავადმყოფები მიიღება: დილით 10-დან 12-მდე; საღამოთი 5-დან 7 საათამდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა, საარტისტო საზოგადოების პირდაპირ.(30—53—22)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. ს. ბეთანოვი

იღებს ავადმყოფებს (ქალის, საბებიო, შინაგანი სნეულ.) ვლადიკავკავის და ტფილისის ქუჩების კუთხე, კომერციულ ბანკის სახლში. (30—31.—14)

ექიმი
ბ. ა. გედალინი

მადათოვის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.

ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილის 8-დან 9 საათამდე. საღამოთი—5-დან—8 საათამდე. (300—6—48)

ექიმი
მ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით ყოველ დღე 9—11½ ს. საღამ. უქმეებს გარდა 6—7 ს. კუთხე კიროჩნის და დიდი-მთავრის ქუჩისა № 12, სახლი ხვანიშვილისა.

ტფილისი, 16 მარტი.

კიდევ პალლიატივი!

ცხოვრების მდინარე კალაპოტიდან გადმოვიდა. მისმა ზვირთებმა შეანგრია ძველი წყობილება, არივ-დარივა არე-მარე. მდინარის მოდიდება ხელოვნური არ იყო და იგი ვერ დასცხრება მანამდის, სანამ ახალ კალაპოტს არ გაიკვლევს და შიგ არ ჩადგება. ეს ბუნებრივი კანონია. რუსეთის ბიუროკრატიისათვის ბუნებრივობა არა სუფევს. მიჩვეულს მბრძანებლობას, იმას ჰგონია, რომ სოფლის მღელვარება გამოწვეულია ვილაცის ბრძანებით, და რადგან ეს ბრძანებამ მას არ ესიამოვნება, ბიუროკრატიასასტიკ ზომებს, ზომებს რომ ამოსწყვიტოს არამკითხე მბრძანებლები, მათი მორჩილნი, და კვლავ თავისი ბრძანებლობა გაამეფოს. ცდა ამაოა, რადგან მოძრაობა სოფელში ბუნებრივად აღმოცენებული, ბუნებრივად უნდა დაკმაყოფილებულ იქნას, თუ კი ჰსურთ მისი დაშოშმინება. ბიუროკრატია კი ყურსაც არ ათხოვებს ცხოვრების ბუნებრივ მოთხოვნილებას, პირიქით იმის წინააღმდეგ მიდის. სოფელი, დამშეული და მწყურვალი, თხოულობს მიწას, ბიუროკრატია კი ქვას აწვდის, უკეთეს შემთხვევაში კი ჰკვებავს დაპირებებით, რომელსაც არ ასრულებს.

სწორედ განსაცვიფრებელია ბიუროკრატიის საქციელი. იგი წააგავს იმ ადამიანს, რომელიც თავის ხელით სჭრის ტოტს, რომელზედაც ზის. მართლაც, ბიუროკრატიის გაუძღომელი კუჭი უმთავრეს საზრდოს იღებს სოფლიდან, სოფელს კი უღაბნოდ აქცევს და არავითარ საღსარს არ აძლევს, რომ შესძლოს თავისი ბატონის საზრდო იშოვოს. რუსეთის ბიუროკრატია მტკიცედ ადგია ძველ რწმენას რომ „ის ითმენს". ითმენს ზომა აქვს. ეს ზომა დღეს შესრულდა. „ის" აღარ ითმენს, ძალა გამოელია, მოთმინებიდან გამოვიდა. ჯერ უმიწობისაგან გაღატაკებულ გლეხს თავზედ დაეტყდა ბიუროკრატიის ავანტიურის საშინელი შედეგები: მანჯურიის მინდვრებში დამარხა ასი ათასობით სამუშაო ხელი, ზურგიდან აძრო მილიონები უნიჭო სარდლების საქეიფოდ და სხვის ვალების გადასახდელად, ეხლა ჰკუნესის რეაქციის მძვინვარებისაგან და ხელიდან ეცლება უკანასკნელი საღსარი, რომელიც შავ-ლუკმას აძლევდა.

რამდენჯერ უთხრეს გლეხს, რომ შენი მდგომარეობა ძლიერ გვაწუხებს და უთუოდ რაიმე ღონეს ვისაზრებთ იმის გასაუმჯობესებლადაო. მაგრამ არ იქნა და არა, ვერ მოისაზრეს ეს ღონე. იყო ერთი წამი. „რევოლიუციონერმა" კუტლერმა მიუთითა ბიუროკრატიას ერთ ზომაზედ, ზომიერზედ, მაგრამ ბიუროკრატებმა იუცხოვეს და უარჰყვეს. უარჰყვეს არა იმიტომ, რომ ეს ზომა არ აკმაყოფილებდა გლეხის მოთხოვნილების მინიმუმს, არამედ იმიტომ, რომ არღვევდა, ერთის მხრით, წმიდა უფლებას კერძო საკუთრებისას, მეორეს მხრივ, ბიუროკრატების შეხედულებით აძლევდა გლეხებს ფრიად ბევრს, მესამე მხრივ კიდევ, არღვევდა „ძველს გზასა", ბიუროკრატიულად ავადმყოფობის ექიმობისას. კუტლერი გააძევეს და ბოლოს, როგორც იქნა, გამოაცხვეს საშუალება აგრარულ შიმშილის მოსაკლავად. საშუალება არ ახალია—ძველია, ახალი მხოლოდ სახელია და კიდევ ორი-სამი ზედმეტი კომისია.

ბიუროკრატია საკვირველ ქარაფშუტობას, უზრუნველობას იჩენს. კარზედ საშინელი მტერი მოსდგომია, დაუღია მშიერი პირი, საზარლად ჰყვირის. ბიუროკრატიას კი ჰგონია, რომ არაფერი არა ხდება-რაო.

რითი უნდა ავხსნათ, თუ არა ქარაფშუტობით, ის უცნაური ზომა, რომლითაც სურს ბიუროკრატიას ამოძრავებულ გლეხობის დაშოშმინება? გლეხი მოითხოვს მიწას, ხმა მაღლა ამბობს, რომ არავითარი საღსარი არა აქვს იმის გარეშე, იმას კი ეუბნებიან, რომ თუ მიწა გიჭირს—იყიდეო. რითი იყიდოს, როცა არაფერი შეარჩინა მებატონემ, მთავრობამ, მისმა ავანტიურებმა და ეხლა მისმა დაწიოკებამ. 26 ექვსი გუბერნია რუსეთისა დამშეულია. დანარჩენები უკეთეს მდგომარეობაში არ არიან. სადღა იშოვონ ფული, რომ მემამულეების მიწა შეისყიდონ.

ბიუროკრატია გლეხს ეუბნება, რომ ამისათვის საგლეხო ბანკი დაიარსებია და ის მოგეშველებაო. რასაკვირველია საგლეხო ბანკი შეღავათს აძლევს გლეხს მიწის შესყიდვის დროს, მაგრამ განა შეუძლიან ბანკს გადასწყვიტოს დიადი სოციალური საკითხი? საგლეხო ბანკი პალლიატივი იყო და ეხლა პალლიატივადაც აღარ გამოდგება, რადგან გაძარცულ-გაოხრებულ და გაღატაკებულ სოფელს, რომ მოინდომოს კიდეც, მაინც არ შეუძლიან ისარგებლოს საგლეხო ბანკის სამსახურით.

მთავრობას თვით ესმის, რომ დღევანდელ დღისთვის საგლეხო ბანკმა დაჰკარგა ის მნიშვნელობაც-კი, რაც წინად ჰქონდა, და ამიტომ იმის დანგრეულ შენობას ბოძი შეუდგა: იქნება ცოტა ხანი კიდევ იდგესო. იმ აზრით, რომ საგლეხო ბანკმა თავის დანიშნულება წესიერად შეასრულოს, დაარსებულ იქნა გუბერნიის და მაზრის საგანგებო კომისიები, რომელთა საზოგადო ხელმძღვანელობა ჩაჰბარდა მიწათა საქმეების მომაწესრიგებელ კომიტეტს. აღნიშნულმა კომიტეტმა და კომისიებმა უნდა ხელი შეუწყონ საგლეხო ბანკებს მოქმედებაში და აგრეთვე გაასწორონ არსებული ნაკლი მიწის მფლობელობასა და მიწის მოხმარებაში.

ვინ იღებს მონაწილეობას ამ ახალ კომისიებში? იქნება გგონიათ, რომ, როგორც გამოცხადებული იყო, „ადგილობრივი ძალები". შესცდებით, თუ ასე იფიქრებთ. დეკორაციისთვის „ადგილობრივი ძალები" სამი გლეხის სახით, მიწვეულნი არიან კომისიებში, მაგრამ რას ნიშნავს ერთი წვეთი ზღვაში. სამი გლეხი ისე შთაინთქება ბიუროკრატიის და მემამულეთა წარმომადგენლების რიცხვში, რომელნიც ბევრად აღემატება გლეხების რიცხვს, როგორც ინთქმება წვეთი ზღვის სიღრმეში. დიახ, დაარსებული კომისიები მშვენივრად შეასრულებენ თავის დანიშნულებას: დაიცვას კერძოდ მფლობელობის ინტერესებისას.

გლეხი კი კვლავ დარჩება ღატაკი, კვლავ დარჩება უმიწოდ, აგრარული შიმშილი კვლავ დარჩება დაუკმაყოფილებელი.

სოციალურ ბოროტებას პალლიატივი არ განკურნავს, საჭიროა ენერგიული, ძირეული წამლობა.

დასავლეთ საქართველოში

გურია. 12 მარტი. ბუნება გამოცოცხლდა, დათბა, მზე უხვად აფრქვევს თავის სხივებს. მინდორ ველი მწვანით შეიმოსა. ხეები აყვავილ-აკოკრა და თეთრ-ტკბილ ნიავით დედასავით ელერსება; ჩიტებს ჟივილ-ხივილი გაუქვთ, თითქოს იმათ პაწია გულებმაც იგრძნეს ბუნების სიდიადე, იმათ გულებში გამოსჭვივის სიხარული და უსაზღვრო სიყვარული ცხოვრებისადმი. ფრთოსანთა მეფე მედგრად ბეჯითად შეუდგა მუშაობას.

ბუნებაში ყველგან სიცოცხლე და სიხარულია, მხოლოდ ჩვენ, გურულების, გულში კვლავინდებურად შავი ფიქრები და უიმედობაა. არ იციან, დაიწყონ მუშაობა თუ არა, არ იციან, რა მოელით, როდის მოკლება ბოლო მოთხოვნილებებს, რა აზრს დაადგნენ, აიღონ საყანე, გაკაფონ თუ არა. იქნება კიდევ რამ მოთხოვნილება გამოვიდეს, იქნება ვერ შესძლოს ხალხმა დაკმაყოფილება და კიდევ აწიოკება, კიდევ ცეცხლი, კიდევ ხიზნობა მოელოდეს. ეხლაც ოზურგეთში საალყო წესებია, ამბობენ, გამოცხადებული. ვილაცას პოლკ. კრილოვისთვის უსახელო წერილი გაუგზავნია, გაგვეცალე აქედან, თორემ სულს განგანთხევინებო. კრილოვიც თურმე გაბრაზებულია და არ იცის, ვისი შური იძიოს. ხალხი დარწმუნებულია, რომ ეს პროვოკატორების და ჯაშუშების საქმეა, მაგრამ ჰგავს პოლკ. კრილოვი ჯაშუშებს უჯერის. მოხელეებს აქამდე ეზოში უშვებდნენ, ახლა-კი ქუშკართან სახლზე კარგა მოშორებით, აყენებენ. იქიდან უნდა მიუტანოს ადიუტანტმა ამბავი.

ამ ორი დღის წინად დაიწყეს ხიდისთავში „შერჩეული კაცების" სახლების და დუქნების მტვრევა და წვა. გუშინდლამდის დასწვეს და დაანგრიეს 8 სახლი და მრავალი დუქანი. როგორც გვიამბეს, დუქნებს არ არჩევენ, ისე ამტვრევენ, სახლებს-კი შერჩევით. სხვათა შორის, დაუწვავთ ნესტორ კალანდაძის სახლი. დუქნებს თურმე თითონ ხიდის-თაველებს ამტვრევინებენ. ყოველ სახლის დაწვა უიმედობის ჟრუანტელს ჰგვრის ისედაც დაჩაგრულ, გაღატაკებულ გლეხებს, რომელთაც რეაქციის თაყვანის მცემელმა ზოგიერთმა მემამულემაც უდროვა და საყანეს სამეოთხედოს ნაკლებ აღარ აძლევს. სახელმწიფო სათათბიროზე აქაც ლაპარაკობენ, მაგრამ აქაურ გლეხებს კარგადა აქვთ შეგნებული სათათბიროს მნიშვნელობა და ვისთანაც ლაპარაკი მქონდა ამის შესახებ, ყველა ერთსა და იმავეს ამბობს: „ჩვენდა სასიკეთოდ არაფერს იზამენ და თუ გვიბრძანებენ, რაღას ვიზამთ, თვარა არა კაცს არ უნდა მაგაში მონაწილეობის მიღებაო". უფრო შეგნებულთ-კი უკვირთ, ტფილისის სოციალ-დემოკრატების დადგენილება სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობის მიღების შესახებ: ამბობენ, რომ ეს ორპირი პოლიტიკა არ შეჰფერის უკიდურეს პარტიას, რადგან მთავრობამ ჯერ გაგვსრისა, მიწასთან გაგვასწორა და მერე წამოგვიგდო, როგორც თაგვებს მახეში პაწია ქონს წაუგდებენ,—ეს სათათბიროო. ასეთი პოლიტიკა უკვეთს ხალხს ნამდვილ თავისუფლების მარჯვე გზით მისწრაფებას, ხრწნის სულიერად და აჩვევს ილიკანტურობა-ოპორტიუნისტობასაო. თუმცა, მართალი რომ სთქვას კაცმა, სათათბიროს არჩევნებს აქ მნიშვნელობას თითქმის არც-კი აძლევენ, ყველას ეშინიან: დღესაც ხვალე დამატუსაღებენო, ჯაშუშების რიცხვი არა კლებულობს და არც ენა ელალებათ.

ამ ჟამად აქაურ სატუსაღოებში 30-ამდე ტუსაღია. ამ ორი დღის წინად ერთ ახალგაზრდა აფიცერს, როგორც ეტყობა, მოსწყინდა „უსაქმოდ" ყოფნა დაიხურა თეთრი ბოხოხი, შეჯდა თეთრ ცხენზე გააქანა, მიაქენა გმირულად სატუსაღოსთან, გადმოხტა, მარდად აირბინა კიბეზე, შეიჭრა სატუსაღოში და უცხუნა მათრახი მარჯვნით და მარცხნით „ხელმწიფის მოღალატეებს"; შემდეგ-კი, როცა გული იჯერა, ისევ ასე მარდად ჩამოირბინა კიბე, შეხტა ცხენზე და გაფრინდა შტაბში. არც ტუსაღებს და არც ჰპირისუფალთ კრინტი არ დაუძრავთ. სწორედ ამასა ჰქვიან, ქვეყანა ვნახე უძაღლო და შიგ გავიარე უჯოხოვო.

დიდის სიამოვნებით წავიკითხე ან. წერეთლის მოწოდება დაზარალებულთა სასარგებლო შემოწირულებათა შესაგროვებლად. ენა ვერ იტყვის რა განწირულებასა და გაჭირებაში არიან აქაურ გადამწვარ განადგურებულნი. ჯერ ასი მოსახლე წინად იყო დამწვარი და ახლაც ამდენივე, მეტი თუ არა, მიემატა.

ძველ დამწვრების, ე. ი. ნასაკირალზე თავს დასხმის დროს რომ გადასწვეს, სასარგებლოდ შეგროვილი ფული, როგორც გავიგე, ჯერ სრულად არ არის მიღებული და ახლო მომავალში ელიან.

გუშინ ოზურგეთის ახლოს დაბანაკებულ მეჯოგე ქურთებს დაეცნენ ვიღაცები. წაართვეს ფული. დღეს ეს ქურთები დადიოდნენ ქალაქში, თან სტრაჟნიკები ახლდათ და იჭერდნენ „ქურდებს". დაიჭირეს ორი კაცი.

ძარცვა-გლეჯა გურიაში, ჩვენდა სამარცხვინოდ, არ კლებულობს, ფირალებს და

მძარცველებს ქვეყნის უბედურება არაფრად მიაჩნიათ და ისედაც აწიოკებულ და გალატაკებულ ხალხს ესხმიან შეიარაღებული გურული ავაზაკები და, რაც ყაზახებს გადარჩათ, მათ მიაქვთ. წუხელისაც დაესხნენ თავს იოსებ ნაკაშიძეს, რომელიც ამას წინად სატუსაღოში იჯდა და გაანთავისუფლეს პოლიტიკური დანაშაულობის ბრალდებისაგან. **დამსწრე.**

დ. ხონი. როგორც უკვე მოხსენებული იყო „ცნობის ფურცლ“-ის 28 თებერვლის ნომერში, აქ მდგომი ყაზახები, ვიცე-გუბერნატორის და აფიცრების თანხლებით ს. სალხინოში გაემგზავრნენ. აქ ამათ მაგივრად ჩამოვიდა 30 სალდათი ორის აფიცრით, რომელნიც დაბანაკდნენ ქალთა კერძო პროგიმნაზიის შენობაში. მ. სანაძის მოკვლის თაობაზე დაჭერილი ორი მეეტლე და ერთი მედუქნე ადგილობრივ გამომძიებელმა ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ გაანთავისუფლა საპყრობილიდან, მაგრამ ვიცე-გუბერნატორის განკარგულებით ესენი კვლავ დაიჭირეს. როგორც ამბობენ, ერთი მეეტლე გამოტეხილა თურმე. ამბობენ აგრეთვე, ვითომ მთავრობას გაევოს ფოსტის გამძარცველთა ვინაობა. როგორც გავიგე, ვიღაც პირებს შეუდგენიათ სია იმათი, ვისაც ფოსტის გამძარცველებად ასახელებენ და ეს სია პოლიციისათვის გადაუციათ.

ამ ბოლო დროს ძლიერ გახშირდა აქეთ სხვა და სხვა ავადმყოფობა. ერთის მხრით ამას ხელი შეუწყო ცხენის-წლის გამოყვანამ: გახშირდა ციებ-ცხელება, მეორეს მხრით კი—რეაქციის გაბატონება. დამფრთხალი ხალხი ჯარის მოახლოვების გაგონებაზე თავბრუ დასხმული მთებსა და ტყეებში გარბოდა. არ ერიდებოდა არც სიცივეს, არც წვიმას და არც ტალახს, რის გამო ბევრი გაცივდა. **უიმედო.**

ქუთაისის თავად-აზნაურთა კრება

11 მარტს მოხდა კრება დასავლეთ საქართველოს თავად აზნაურობისა, რომელსაც უნდა ამოერჩია ორი წარმომადგენელი იმ კრებაზე გასაგზავნად პეტერბურგში, საცა 18 კაცი უნდა აირჩიონ სახელმწიფოს საბჭოს წევრებად თავად-აზნაურობის მხრით.

ვიდრე კრება შეუდგებოდა მიმდინარე საქმეების განხილვას, დავით მიქელაძემ ითხოვა სიტყვა და რუსულად შემდეგი განცხადება წაიკითხა:

მთავრობის წინადადებით, თქვენ ბატონებო შეიკრიბენით ორის წარმომადგენლის დასასახელებლად სახელმწიფოს საბჭოს წევრების ასარჩევად, მაგრამ ვიდრე თავად-აზნაურობა შეუდგებოდეს თავის მოქალაქობრივ მოვალეობის ასრულებას, იგი ვალდებულია ყურადღება მიაქციოს ქართველი ხალხის ცხოვრებაში არა ჩვეულებრივ მოვლენას, რომლის მსგავსს სასტიკობის მხრით ქართველი ერი არ მოსწრებია; ეს მით უფრო სავალდებულოა თავად-აზნაურობისათვის, რომ იგი ერთად-ერთი წოდებაა, რომელსაც ხმის ამოღების უფლება აქვს.

უკანასკნელ ხანებში ჩვენს სამშობლოს ისეთი უბედურება დაატყდა, რომლის მსგავსს საქართველო არ მოსწრებია თავის ხანგრძლივ წარსულში. როცა გამარჯვებული მტერი არბევდა ქალაქებსა და სოფლებს, სწყვეტავდა ხალხს და ქვეყანას ცეცხლითა და მახვილით ანადგურებდა, მას წინააღმდეგობას უწევდა შეიარაღებული ქართველი ერი, რომელიც რჯულსა და ეროვნებას იცავდა; ამ შემთხვევაში შემოსეულ ველურ ბრბოს პსიხოლოგია ადვილი გასაგები იყო, ამიტომ მორჩილების გამოცხადებასთან ერთად,—შემოსეული მტერი სპობდა დევნასა და შურის ძიებას; ასე ექცეოდნენ საქართველოს დაუძინებელი მტერნი წინად, მაგრამ იგივეა ეხლა, როცა ჩვენ მტერი კი არა გვსჯის, არამედ ის, ვინც იტვირთა ქვეყნის დამშვიდება, ხალხის მტრისაგან დაცვა და მოქალაქობრივ თავისუფლების შექმნა?

მთელს ქალაქებს, დაბებს და სოფლებს ულმობლად ანგრევენ და სწვავენ, ხალხი თავს იფარავს მთებსა და ტყეებში და ვინც ამას ვერ ასწრობს, სასტიკად ისჯება—მამაკაცებს უწყალოდ სცემენ, ხოლო დედაკაცებს ნამუსსა ხდიან საქვეყნოდ.

გარდა იმისა, რომ კანონი და სამართალი აღარ არსებობს, მოსპობილია აგრეთვე კაცთმოყვარეობა და მოწყალეობა იმ ხალხის მიმართ, რომელიც მორჩილებაში სულსა ღაფავს.

რა დააშავა საქართველოს მკვიდრმა, რომელსაც ასე ულმობელად ამცირებენ და ანადგურებენ? იქნება დიდი რამ ცოდვა მიუძღვის რუსეთის ხალხის, სახელმწიფოს ან მის მეთაურის წინაშე? სრულებითაც არა. სახალხო მოძრაობა საქართველოში ბანი იყო მთელის რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობისა და არა სურვილი განშორებისა ან და შეიარაღებულ აჯანყებისა. თუ დავაშავეთ რამე, მარტო ის, რომ მეფის მიერ დაპირებულ თავისუფლებას ჩვენ ისე შევხედეთ, როგორც არსებულს და წარმოდგენითაც ვერ წარმოვიდგენდით, რომ მას ხელიდან გამოგვაცლიდნენ სწორედ ისინი, ვისაც იგი ცხოვრებაში უნდა გაეტარებინა.

ნუ თუ თითო ოროლა შემთხვევა მთავრობისა და ჯარის წარმომადგენელთა მოკვლისა და თავდასხმისა, ისიც რევოლიუციონერების მხრით, ისეთს არა ჩვეულებრივს რამეს წარმოადგენს, რომ თვით შიდა რუსეთში არ მომხდარიყოს, ნუ თუ ეს საკმაოა მთელის ქვეყნის განადგურებისა და დარბევისათვის?

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მთელის საუკუნის ერთგულება ქართველ ხალხისა, რუსეთის ინტერესების დაცვისათვის მიმართული, აქტივში არ ჩაგვეთვალა. წინააღმდეგ, ასეთმა ჩვენმა საქციელმა არ დაგვიფარა იმ საშინელებისაგან, რომლის მოწმენიც ჩვენა ვართ, და რაც სიზმრადაც კი ვერ მოეჩვენებოდა ალა-მაჰმად-ხანს.

ამიტომ მე შემდეგ წინადადებას ვაძლევ კრებას: გამოვაცხადოთ ჩვენი აღშფოთება იმ რეპრესიების გამო, რომელიც გამეფებულია ჩვენს ქვეყანაში და რომლის არსებობა არაფრით არის გამოწვეული და ვთხოვოთ ნამესტნიკს, იშუამდგომლოს საქმის გამოსარკვევად სენატის რევიზიის დანიშვნის შესახებ.

მე ეჭვი არა მაქვს, რომ დიდის რუსეთის ხალხის წარმომადგენელნი, რომელნიც ცოტა ხანში შეიკრიბებიან, მხედველობაში მიიღებენ იმას, რომ ქართველ ერს, რომელმაც თავისი ბედ-იღბალი რუსეთის დიდ-სულოვანობას ჩააბარა, თავისი უფლება აქვს, ის, რაც არ მოგვცა ან ვერ მოგვცა ძველმა რუსეთმა, მოგვცემს ახალი რუსეთი, რომელსაც არ შეუძლიან მხედველობაში არ მიიღოს საერთაშორისო უფლებანი რომლის ძალითაც საქართველო შეუერთდა რუსეთს როგორც მოკავშირე, და არა როგორც დამონავებული და უფლება ახდილი ქვეყანა.

დიდი ისტორიული ცოდვა, რომელიც რუსეთის ბიუროკრატიამ ჩაიდინა ასის წლის წინად, რუსეთის ხალხის პირველმავე წარმომადგენელმა კრებამ უნდა შეისყიდოს და საქართველოს უნდა დაუბრუნოს ფართო შინაური თვითმართველობა კანონმდებლობითი უფლებით და რუსეთთან ერთობით.

ბ-ნ მიქელაძის განცხადებამ ზოგიერთა შორის უსიამოვნება გამოიწვია, მაგრამ მიუხედავად ამისა, კრება ბ-ნ მიქელაძის განცხადებას სიამოვნებით მიეგება, თუმცა არსებითად თავისი აზრი არ გამოსთქვა, ჯერ იმიტომ, რომ კრების თავმჯდომარემ, გუბერნიის წინამძღოლმა, შესაძლებლად ვერა სცნო, რადგან, განაცხადა ბ-მა წერეთელმა, წინადადება განსახილველ კითხვათა სიაში არ არის მოქცეულიო, მეორე—უფრო იმიტომ, რომ ყველა ერიდებოდა ეხლანდელ დროში სახიფათო საკითხზე ლაპარაკს. ჩვენის აზრით, მადლობის ღირსია ბ-ნი დ. მიქელაძე პროტესტის გამოცხადებისათვის იმ დროს, როცა მთელი ქვეყანა აოხრებულია და არ გამოჩნდა აქამდის ისეთი კაცი, რომელსაც მოქალაქობრივი მოვალეობა მოჰგონებოდა და ხმა ამოეღო სუსტ პროტესტის ნიშნადმაინც.

წეღანაცა ვთქვი, რომ არსებითად კრებამ ბ-ნ მიქელაძის წინადადების შესახებ თავისი აზრი ვერ გამოსთქვა მეთქი, მაგრამ შემდეგში, როგორც ქვევითაც დაინახავთ, კრება კვლავ შეეხო ამ საკითხს. რამდენისამე დღის წინად თავად-აზნაურთა წინამძღოლს მოუწვევია კერძო კრება, რომელსაც კანდიდატების დასასახელებლად და სხვა კითხვათა განსახილველად აურჩევია კომისია. კომისიის წევრმა კ. ნ. ჩიკვაიძემ თავმჯდომარის წინადადებით კრებას აუწყა, რომ კომისიამ კანდიდატებად დაასახელა ოთხი კაცი: ვ. ს. მიქელაძე, ა. მ. ერისთავი, აკაკი წერეთელი და დ. ა. ლორთქიფანიძე. უკანასკნელმა უარი განაცხადაო, სთქვა ბ-ნმა ჩიკვაიძემ, ხოლო რაც შეეხება აკაკი წერეთელს, ექიმების სიტყვით პოეტისათვის ძნელი იქნება პეტერბურგში წასვლა, მაგრამ ჩვენ მაინც მოვალედ ჩავთვალეთ ჩვენი თავი კანდიდატების სიაში შეგვეტანა მისი სახელი; ეხლა კრებაზეა დამოკიდებული ვის აარჩევს ჩვენ მიერ დასახელებულ სამ კაცს შორისაო. ჩვეულებრივ პირობებში სამივე დასახელებულ კაცისათვის უნდა ეყარათ კენჭი, მაგრამ კრებამ კანდიდატთა სიიდან გამორიცხა აკაკის სახელი და ყუთი ბ-ნ მიქელაძესა და ერისთავს დაუდგეს, ხოლო აკაკის შესახებ თავმჯდომარემ განაცხადა კომისიის წევრებთან მოლაპარაკების შემდეგ, რომ თანხმობა აკაკისა კენჭის ყრაზე არა გვაქვს და ამიტომ მისთვის ყუთის დადგმა შეუძლებელიაო. საკვირველი ამ მცირე ინციდენტში ის არის, რომ ჩვენის მწერლის სახელი ისე ამოშალეს კანდიდატების სიიდან, რომ არც ერთმა წევრმა კომისიისამ კრინტი არ დასძრა ამ საგნის შესახებ და იმას ამოეფარნენ, რომ აკაკის თანხმობა არა გვაქვსო. ვინ უშლიდა მერე იმ კომისიას, აკაკის დაჰკითხებოდა და გაეგო, თანახმაა თუ არა კენჭის ყრაზე?

შემდეგ ამისა ბ-ნმა კ. ნ. ჩიკვაიძემ თავად-აზნაურთა კერძო კრებაზე არჩეულ კომისიის სახელით განაცხადა: ცენტრალურ მთავრობას, როცა წარმომადგენლობით დაწესებულებას აარსებდა რუსეთში, სხვა და სხვა მოსაზრების გამო ჩვენი ქვეყნის გამოტოვება უნდოდა და ამნაირად სახელმწიფო სათათბიროში ჩვენ წარმომადგენელნი არ გვეყოლებოდნენ. ნამესტნიკმა ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია და მას უნდა ვუმადლოდეთ, რომ სახელმწიფო სათათბიროში ჩვენი წარმომადგენელი გვეყოლებაო. კომისიის სახელით, ბ-ნმა ჩიკვაიძემ კრებას წინადადება მისცა, რომ ნამესტნიკს ასეთი ზრუნვისათვის თავად-აზნაურთა სახელით მადლობა გამოეცხადოს და თან ეუწყოს დღევანდელი არა სანუგეშო მდგომარეობა მთელი დასავლეთ საქართველოსიო. კრებამ ერთხმად მიიღო წინადადება კომისიისა და თავად-აზნაურთა წინამძღოლს დაავალა ამის სისრულეში მოყვანა.

ზემო ხსენებულ კომისიის სახელითვე ბ-ნმა ჩიკვაიძემ კვლავ აუწყა კრებას, რომ დავით მიქელაძის წინადადება, წაკითხული კრების დასაწყისში, კომისიამ განიხილა და შესაფერი რეზოლიუციაც მოამზადა; კომისიის აზრით, კრებამ უქვეშევრდომილესი ადრესი უნდა გაჰგზავნოს ხელმწიფესთან, საცა უნდა აღინიშნოს ის იმედი, რომ 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებულ თავისუფლებათა განხორციელებასთან, ჩვენს ქვეყანაში განახლდება მოქალაქობრივი ცხოვრება, რომლის ბუნებრივი მსვლელობა შეფერხებულია უსასტიკეს რეპრესიებით. კრებამ ერთხმად მიიღო კომისიის წინადადება, რომლის უქვეშევრდომილეს ადრესის შესადგენად აირჩია კომისია, რომლის წევრად მოჰყვნენ: დ. ა. მიქელაძე, ო. თ. დადეშქელიანი, დ. ა. ლორთქიფანიძე, პ. ა. თუმანიშვილი, ს გ. წერეთელი, ვ. ნ. ჩიკვაიძე, დ. ო. ნიჟარაძე, დ. ბ. კვირკველია, კ. ბ. ლორთქიფანიძე და დ. ნ. აბდუშელიშვილი.

დასასრულ, კენჭი უყარეს ვ. ს. მიქელაძეს და ა. მ. ერისთავს; პირველმა მიიღო 34 თეთრი და 1 შავი და მეორემ 33 თეთრი და 2 შავი.

ახალი ამბავი

◆ **გლეხთა გაჭირვება.** გუშინ სოფელ ქვემ-ნიჩბისიდან (ქართლი) ჩამოვიდა ამ სოფლის სამი რწმუნებული, რომელთაც ნამესტნიკს მიჰმართეს წერილობითის მოხსენებით და აუწყეს თავიანთი უკიდურესი მდგომარეობა. დეპუტაცია გუბერნატორთანაც იყო. ს ქვემო-ნიჩბისი ყაზახებმა, ჯარის კაცებმა თოფ-ზარბაზნებით და საეროვნო დარაჯებით რვაჯელ მოიარეს. ამ სოფლის მცხოვრებნი სრულიად განადგურდნენ ქონებითად. რაც აქამდე დაატყდით, ის არ აკმარესდა 13 მარტიდან ამავე სოფელში, ადგილობრივ მემამულეთა თავ. დიმიტრი და პავლე ციციშვილების მეოხებით, 40 ყაზახი ჩამდგარა ეგზეკუციად. შეშინებული ხალხი, როგორც ყველგან აქეთ-იქით გაფანტულა. როგორც გლეხებმა შესჩივლეს გუბერნატორს, თავ. ციციშვილებს უსამართლოდ ჩაუყენებიათ ეგზეკუცია. შარშან გლეხთა მოძრაობის დროს მომრიგებელი კომისია ქვემო ნიჩბისშიაც ყოფილა გლეხნი და მემამულენი მოურიგებია. მემამულენი დათანხმებულან, გლეხებს საბალახო არ გადაეხადათ, უსასყიდლოდ მიეღო და ტყეებიდან შინაურ საჭიროებისათვის შეშა, არ გადაეხადათ ვენახისა და სამოსახლოს ფული და სხვ. რაც კომისიამ გლეხებს შეაწერა, სოფელს შარშანვე გადაუხდია. ყველა ამის შემდეგ გლეხები აღარ მოელოდნენ ეგზეკუციას. საწყალი ხალხი თავის ფულით ყიდულობს შაქარს, ჩაის ყაზახებისათვის, მიაქვს პური, საკლავი და სხვა. რწმუნებულნი სთხოვენ ნამესტნიკს, ახსნას ეგზეკუცია.

◆ **ყუმბარების საქმე.** გუშინ, 15 მარტს ტფ. სამოსამართლო პალატაში ბ-ნ კრივცოვსკის თავმჯდომარეობით და წოდებათ წარმომადგენლების მონაწილეობით, დაიწყო „გრანდოტელ“-ის სასტუმროში ნაპოვნ ყუმბარების საქმის განხილვა. პასუხის გებაში მიცემულია: დ. კაჩაური, კასპერ კაჭაროვი, ალექსანდრე წკიპურიშვილი, შიო პავლიაშვილი, ვლადიმერ ხუდადოვი და ბასტრიჩევი. პირველს ხუთს ჰბრალდებათ ყუმბარების მომზადება და განზრახვა გენერალ შირინკინის მოკვლისა, ხოლო უკანასკნელს—ყუმბარის შენახვა თავის ბინაზე. საქმე ირჩევა ხალხის დაუსწრებლად. სასამართლოს და პალატის წევრებს, ნაფიცს ვექილებს და მათ თანაშემწეებსაც კი არ მისცეს ნება დასწრებოდნენ. — მხოლოდ ბრალდებულთა მშობლებთაგან დედებს ან დებს მისცეს ნება, ხოლო მამებს ან კაცთაგან ნათესავები არავინ დაუშვეს სხდომაზედ. ბრალდებულთ იცავენ ნაფიცი ვექილები გრუზენბერგი, თავ. ი. ბარათაშვილი, კ. ჯაფარიძე, ტიგ. იოანესიანი; იმ. დოლუხანოვი, რ. ა. იოანესიანი და ყორღანოვი. დაბარებულია 40-მდე მოწმე. სასამართლოს შესავალს პოლიციელები იცავენ. გუშინ მოასწრეს მხოლოდ ოთხ-ხუთ მოწმემდე საქმის გამოკითხვა.

◆ **არ გამოცხადებულთა დაჭერა.** ამ დღეებში ტფ. გუბერნატორმა უბრძანა მაზრის უფროსებს, ყოველი საშუალება იხმარეთ იმ ყმაწვილ კაცთა შესაპყრობად, რომელნიც კენჭის ამოსაღებად არ გამოცხადებულანო.

◆ **გენ. მალამას გამგზავრება.** ნამესტნიკის სამხედრო ნაწილის თანაშემწე გენერალი მალამა ბათუმს გაემგზავრა.

◆ **რაზმელების დაპატიმრება.** „ჩ. ვ.“-ში დაბეჭდილია: „როგორც გვატყობინებენ, 9—10 მარტს ბელოგორში დააპატიმრეს 15 კაცი დრუჟინის წევრი. 10 მარტს ყვირილაში პოლიტიკურ საქმეების გამო დააპატიმრეს 11 კაცი. ყველანი ქუთაისში გაგზავნეს“.

◆ **გენ. შირინკინის გამგზავრება.** საპოლიციო ნაწილის უფროსი გენერალი შირინკინი ამ დღეებში მიემგზავრება ერევნისა და განჯის გუბერნიებში.

◆ **აკრძალვა.** ტფ. გენერალ-გუბერნატორმა გადასწყვიტა, ნება არ მისცეს ადგილობრივ გაზეთებს ბეჭდონ ნამესტნიკისა და შტაბის ბრძანებანი. გარნიზონის სახელზე გამოცემულ ასეთ ბრძანების დასაბეჭდათ რედაქტორმა კომენდანტისაგან უნდა აიღოს ნებართვა.

◆ **ყუმბარები და თოფები.** როგორც „კავ.“-ს ატყობინებენ, სოფელ ქარელში უნახავთ ორი ყუმბარა და შვიდი ბერდანის თოფი.

◆ **იარაღის აღმოჩენა.** 14 მარტს, ღამე, ტფილისის მეშვიდე ნაწილში, სრეტენსკის ქუჩაზე, მნაცაკანოვის სახლში, ო. ს. არუთინოვის ბინაზე პოლიციას გაჩხრეკის დროს უნახავს, როგორც შიგ ბინაზე, ისე გარედ ეზოში, 10 ფუთი თოფის წამალი, ტყვიები, კაპსიული, პატრონების ჩამოსასხმელი მანქანა და ორი ხანჯალი. არუთინოვი დააპატიმრეს.

◆ **არჩევნების შესახებ.** ტფილისის მაზრის უფროსმა დაუგზავნა ბოქაულებს და სოფლის მოხელეებს დარიგებანი და გაფრთხილებანი სახელმწიფო სათათბიროს წევრთა არჩევნების შესახებ. მაზრის უფროსი სწერს: მაზრაში 3 საარჩევნო კრება უნდა მოხდეს: კრება მემამულეთა, ქალაქის ამომრჩეველთა კრება და საბოქაულო ნაწილების რწმუნებულთა; ეს უკანასკნელი კრება უნდა მოხდეს იმ სოფელში, რომელსაც დანიშნავს საგუბერნიო მთავრობა. კრება მოხდება მამასახლისის თავმჯდომარეობით. ყოველი სოფელი ათ კომლზე აირჩევს თითო რწმუნებულს. ის სოფელი საცა 10 კომლზე ნაკლები სცხოვრობს ირჩევს თითო რწმუნებულს. არჩევნებში მო-

---

ფელეტონი

საფრანგეთის რევოლიუცია

მონტანიარების გამარჯვება. 1793 წლის კონსტიტუცია.

მეტად კრიტიკული იყო საფრანგეთის რესპუბლიკის მდგომარეობა: კარებზე ევროპის კოალიცია იდგა შეიარაღებული, შინ აჯანყება, ღალატი და ინტრიგები არისტოკრატებისა და სამღვდელოებისა, კონვენტში შეურიგებელი, უკიდურესად გამწვავებული ბრძოლა პარტიებისა. ამ კრიტიკულ მდგომარეობასთან ჩვეულებრივი ღონისძიება ვერას გახდებოდა; რაც უფრო მატულობდა გასაჭირი, რაც უფრო მწვავდებოდა კრიზისი, მით უფრო აუცილებელი იყო ძლიერი სარევოლიუციო მთავრობა; ექვს წევრიანი აღმასრულებელი საბჭო, რომელიც აქამდე ასრულებდა მთავრობის როლს, ვერ აკმაყოფილებდა დროის მოთხოვნილებას, ვერ უძღვებოდა რესპუბლიკას შესაფერის ენერგიითა და სიმტკიცით. გენერალ დიუმურიეს ღალატმა კიდევ უფრო ცხადი გახადა უფრო ძლიერ მთავრობის საჭიროება და კონვენტმაც გადასწყვიტა (1792 წ. 6 აპრილი) საგანგებო კომიტეტის შექმნა თავის წევრთაგან. ეს კომიტეტი, რომელსაც სახელად „საზოგადოებრივ შველა-ხსნის კომიტეტი“ ერქვა, აღჭურვილი იყო მეტად ვრცელის, თითქმის დიქტატორის უფლებით: მას შეეძლო ყოველგვარ ღონისძიების მიღება რესპუბლიკის შველისა და დახსნისათვის; მინისტრები მოვალენი იყვნენ დაჰმორჩილებოდნენ კომიტეტის ყოველ განკარგულებას (ცოტა ხანს იქით, აღმასრულებელი საბჭო სრულიად მოსპეს და მათ ადგილს 12 კომისია ამოირჩიეს კომიტეტის დასახმარებლად). კომიტეტზე მაღლა არავინ იდგა, რასაკვირველია კონვენტს გარდა, მაგრამ აქაც განსხვავებული იყო კომიტეტის მდგომარეობა: იგი მოქმედებდა, სხვა და სხვა ღონისძიებას ხმარობდა და შემდეგ იყო, რომ კონვენტს წარუდგენდა თავის მოქმედების ანგარიშს. ერთის სიტყვით, კონვენტმა ასეთ კომიტეტის შექმნით, განახორციელა მარატის აზრი დიქტატორის შესახებ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ერთ კაცს კი არ ჰქონდა მინიჭებული დიქტატორის უფლება, არამედ მთელ კომიტეტს, რომელშიაც არა ნაკლებ ცხრა წევრისა იყო. ეს მრავალწევრიანობა, რასაკვირველია, ძალას აკლებდა კომიტეტს, რადგან კოლეგიალური დაწესებულება საზოგადოდ ვერ მოქმედებს სასურველის სიჩქარითა და ენერგიით და იმ დროს კი ეს იყო ყველაზე უფრო საჭირო; მაგრამ მალე ეს ნაკლიც მოშორდა ახალ მთავრობას: კომიტეტი ისევ რამდენიმე წევრთაგან შესდგებოდა, მაგრამ მათ შორის ჯერ დანტონი მოხვდა და დანტონის შემდეგ რობესპიერი. სანამ დანტონი იყო, კომიტეტი სავსებით დანტონის პოლიტიკას მისდევდა, და რობესპიერი რომ შევიდა კომიტეტში, ხომ ნამდვილი დიქტატორი გახდა რესპუბლიკისა, ისე დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი საფრანგეთში და ისე დიდი გავლენა ჰქონდა ამხანაგებზე.

მაგრამ მარტო ძლიერ მთავრობის შექმნა ვერ უშველიდა საქმეს: კონვენტის პარტიები მეტად გადაკიდებული იყვნენ, ურთიერთი მტრობა უკიდურეს ხარისხზე ავიდა და რესპუბლიკის საქმე ფერხდებოდა; აუცილებელი იყო ან შეთანხმება პარტიებისა ან და ერთ-ერთი საბოლოოდ უნდა დამარცხებულიყო და მოქმედების ასპარეზი მეორე პარტიისათვის დაეთმო. დანტონი ბევრს ეცადა ჟირონდისტებისა და მონტანიარების შეთანხმებს: ნუ გავახარებთ მტერს, შევთანხმდეთ და შეერთებულის ძალღონით ვიხსნათ სამშობლო და რესპუბლიკაო, მხურვალედ უმტკიცებდა დანტონი გადაკიდებულ პარტიებს, მაგრამ მთელი მისი ცდა ამაო შეიქნა—ან ჩვენ ან ისინიო, გაიძახოდნენ ორივე მხრიდან. პარტიების ბრძოლა უფრო და უფრო მწვავდებოდა და საშინელი ხდებოდა; პარიზის ხალხი ფეხზე იდგა და პირდაპირ მონაწილეობას იღებდა კონვენტის პარტიების ბრძოლაში, განსაკუთრებით გენერალ დიუმურიეს ღალატის შემდეგ: როგორც ვიცით დიუმურიე ჟირონდისტებთან დაახლოვებული იყო და ხალხმაც, მარატისა და რობესპიერის შეგონებით, გენერლის ღალატი ჟირონდისტების საქმედ მიიჩნია. კონვენტის უმრავლესობა მაინც ჟირონდისტების გავლენის ქვეშ იყო და, რაკი ხედავდნენ, რომ პარიზელები მონტანიარების მხარეზე იყვნენ და ჟირონდისტების წინააღმდეგ სამოქმედოდ ემზადებოდნენ, გადაწყვეტილი ჰქონდათ სასტიკი ღონისძიებანი ეხმარათ ხალხისა და პარიზის წინააღმდეგ. მაგრამ სანამ ჟირონდისტები და მათი მომხრენი ბჭობდნენ და ლაპარაკობდნენ და კომისიებს ირჩევდნენ, მონტანიარები ხალხში მოქმედებდნენ: პირველი დიდი დემონსტრაცია შეიარაღებულ ხალხისა გაიმართა 31 მაისს: ეს დემონსტრაცია მშვიდობიანი იყო—იარაღი არავის უხმარია, მაგრამ კონვენტი მაინც იძულებული იყო დამორჩილებოდა ხალხის სურვილს და გაეუქმებია რამდენიმე თავისივე დადგენილება, რომელიც მიღებული იყო ჟირონდისტების გავლენის ქვეშ. მაგრამ მარატი და რობესპიერი სრულიად არ იყვნენ კმაყოფილი ასეთ ზნეობრივ გამარჯვებით, ამათი სურვილი იყო ჟირონდისტების პარტიის მოსპობა და აისრულეს კიდეც ეს სურვილი 1792 წ. ორ ივლისს. ამ დღეს ხალხმა ისევ მოიყარა თავი და კონვენტს მიადგა, აქვე იდგა ქალაქის მილიცია, რომელსაც პარიზის საბჭოს დანიშნული სარდალი უფროსობდა, სახელად ჰანრიო. კონვენტში მივიდა ქალაქის საბჭოს დეპუტაცია და მოითხოვა 22 ჟირონდისტას დატუსაღება: ჟირონდისტები რესპუბლიკის წინააღმდეგ არიან შეთქმული, იხსენით ხალხი შეთქმულთაგან ან და ხალხი თვითონ დაიხსნის თავის თავსო. კონვენტის ამ სხდომაზე ბევრი ჟირონდისტი არ დასწრებია: რა-კი 31 მაისის ამბები ნახეს დარწმუნდნენ, რომ კარგი არაფერი მოელოდათ, პროვინციებისაკენ წავიდნენ, სადაც მომხრეები ეგულებოდათ. ჰანრიო ჯარითა და ზარბაზნებით კონვენტის ახლო იდგა და გადაწყვეტილი ჰქონდა მანამ არ გაეშვა კონვენტის წევრები სხდომის დარბაზიდან, სანამ ქალაქის ს. ბჭოს დეპუტაციის მოთხოვნა არ იქნებოდა დაკმაყოფილებული. კონვენტი აღშფოთებული იყო ასეთის ძალადობით, მას არ უნდოდა დამორჩილებოდა შეიარაღებულ ხალხის ბრძანებას, მაგრამ ძალამ თავისი გაიტანა, დეპუტატები შეშინდნენ და დააკმაყოფილეს ხალხის მოთხოვნა. მარატი შეიქნა კონვენტის მბრძანებელი და 22 ჟირონდისტის მაგიერ 28 დაპატიმრება გადააწყვეტინა.

ჟირონდისტების პარტია აღარ არსებობდა, რევოლიუციის ბევრი კეთილშობილი და დამსახურებული მოღვაწე დაპატიმრებული იყო და მკაცრსა და სასტიკ სასჯელს მოელოდა გამარჯვებულ მონტანიართაგან. მოკლე ხანში თავებიც დაჰკვეთეს საფრანგეთის ამ საუკეთესო შვილებს. შეუძლებელია, ადამიანს გული სიბრალულით არ აევსოს ჟირონდისტების საშინელ ბედით, მაგრამ, რაკი გადაკიდებულ პარტიების შერიგება შეუძლებელი გახდა, რევოლიუციის ინტერესი მონტანიარების პოლიტიკის გამარჯვებას თხოულობდა და, მაშასადამე, ჟირონდისტები უთუოდ უნდა დაღუპულიყვნენ: ახალ საფრანგეთს გარეშე და შინაური მტერი განადგურებას უპირებდა, ხსნა მხოლოდ უკიდურეს ღონისძიების მოხმარებასა და ნამდვილ რევოლიუციონურ მოქმედებაში იყო; მონტანიარებიც სწორედ ამ გზას ადგნენ და იმიტომაც გაიმარჯვეს ჟირონდისტებზე.

როცა პროვინციებში გაიგეს პარიზში მომხდარი ამბები, ბევრ ადგილას ძლიერმა მღელვარებამ იჩინა თავი: ჟირონდისტებს

წილეობის მიღების ნება არა აქვთ: ქალებს, 25 წლისაზე ნაკლებთ, მოწაფეებს, ნამდვილ სამსახურში მყოფ ჯარის კაცთ, მომთაბარე (კოჩევნიკებს), არა რუსებს და სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ, სასამართლოში მიცემულთ და სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებისთვის დასჯილთ. დასასრულ მაზრის უფროსი შემდეგ ნაირად აფრთხილებს ბოქაულებს: სასტიკად გევალებთ, ფხიზლად ადევნოთ თვალი არჩევნების საქმეს. თვალყური ადევნეთ, რომ არჩევნებზე არ გამოცხადნენ ისეთი პირები, რომელნიც არ ეკუთვნიან გლეხებს და იმ სოფელს, სადაც არჩევნებია.

◆ **გაფიცვა.** 14 მარტს გაიფიცნენ „ტფილისტოკის“ რედაქტორის ხეჩატუროვის სტამბის მუშები. მუშებმა ეკონომიური მოთხოვნილებანი წარუდგინეს სტამბის პატრონს და ითხოვენ ჯამაგირის მომატებას.

◆ **პატიმართა რაოდენობა.** საზოგადოდ დაპატიმრებულთა რიცხვმა ცოტა იკლო, რადგან ზოგი გადაასახლეს შორეულ და არა შორეულ ადგილებში და ზოგიც განთავისუფლეს. ამ ჟამად მეტეხის ციხეში იმყოფება 387 პატიმარი, საგუბერნიო საპყრობილეში—278, სულ 665. აქედან პოლიტიკური დამნაშავეა 78, ხოლო ადმინისტრატიულის წესით დაპატიმრებული—150.

◆ **დახმარება ყუმბარით დახოცილ პოლიციელებს.** მინისტრთა კომიტეტმა აცნობა კავ ნამესტნიკს, რომ, თანახმად ამ კომიტეტის გადაწყვეტილებისა, მუდმივი პენსია დაენიშნათ: შარშან ივნისში ოლგას ქუჩაზე ყუმბარით მოკლულ პოლიციელის ლიაბუნოვის ოჯახს—300 მანეთი და ერთდროულადაც 300 მან., ხოლო მე-10-ე უბანში ყუმბარითვე მოკლულ პოლიციელის კოლა ლეილიჩუკის ოჯახს პენსია—240 მანეთი, ხოლო ერთდროული დახმარება—200 მან.

◆ **ახალი გაზეთი.** მოსე ჯანაშვილმა შუამდგომლობა აღძრა, ნება მიეცეს გამოსცეს ქართული ყოველ თვიური საისტორიო და საბიბლიოგრაფიო ჟურნალი „ნაშრომი“.

◆ **საარჩევნო სიები.** გუშინ, 15 მარტს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველომ ქალაქის გამგეობას წარუდგინა საარჩევნო სია. სულ სიაში მოქცეულია 646 კაცი. იმგვარივე სიები წარუდგინეს გამგეობას პოლიციის 1, 2 და მე-3 ნაწილის მობინადრეებმა. პოლიციის 1 ნაწილში 553 კაცია ისეთი, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ, მეორეში—118, ხოლო მესამეში—110 კაცი.

◆ 14 მარტს პუშკინის ქუჩაზე კინაღამ უბედურება არ დატრიალდა. საღამოს 7½ საათზე, აღნიშნულ ქუჩაზე მიექანებოდა ვაგონი № 123. სემინარიის სადგომის ბოლოში ორი სალდათი ტაჭკით მიექანებოდა. ცხენი ახლად გახედნილი ყოფილა და ვაგონის დანახვაზე ისე დაფრთხა, რომ სალდათებმა ვეღარ შეიკავეს. ვაგონი დაეჯახა ტაჭკას და თვლები მოამტვრია. ამით გაგულისებული სალდათები აუტყდნენ ვაგონის დამტარებელს და დაუწყეს ცემა. ბოლოს იარაღის ხმარებაც დააპირეს, მაგრამ ვაგონის დამტარებელმა გაასწრო. იქვე სემინარიაში მდგომი სალდათები ამხანაგებს წაეშველნენ. ამან ხალხი ძალზე დააფრთხო და ბევრმა დუქნებიც კი დაკეტა და გაიქცა. კარგია კიდევ რომ ამ დროს პატრულის აფიცერი გაჩნდა და ყველაფერი დააშოშმინა.

◆ 14 მარტს პოლიციის მე-10 ნაწილში, სადგურის ქუჩაზედ, ჩხუბის დროს ტფ. მოქალაქემ იაკობ ნიკოლაიშვილმა დანით დასჭრა სარქის ახვერდოვი. ახვერდოვი მიხეილის სამკურნალოში მიიყვანეს, მაგრამ ცოტას ხნის შემდეგ გარდაიცვალა.

◆ გუშინ პოლიციის მე-10 ნაწილში დააპატიმრეს მატულაშვილი, რომელსაც ბრალდება ნაძალადევში პოლიციელისათვის თოფის წართმევის მონაწილეობის მიღება.

◆ შუა ბაზარში მოვაჭრეს დავით ბერაძეს და მუშას შაქრო რომანოვს ჩხუბი მოსვლიათ, რომლის დროსაც რომანოვს დანით დაუჭრია ბერაძე. დაჭრილი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

პრესსა

ორი დღის წინად აღვნიშნეთ, რომ ქართველი სოციალდემოკრატები (თუ საწყენად არ მიიღებენ, რომ იმათ ქართველებს ვუწოდებთ) თავის ძველს საპოლემიკო ტაქტიკას უბრუნდებიანო. გუშინდელი ნომერი გაზეთ „ელვა“-სი გვიმტკიცებს, რომ ჩვენი პროგნოზი შემცდარი არ ყოფილა. დავანებოთ თავი იმას, რომ იდეიურ მოწინააღმდეგეებს იდეიურ საბუთების ნაცვლად ეს გაზეთი ისეთის არგუმენტებით უმასპინძლდება, როგორიც არის მოწინააღმდეგეთა მოხსენება „პოლიტიკურ ქამელეონებად“, „ანარხისტ-ფედერალისტ-არაფერისტობად“, „ნაცარ-ქექიათა პარტიად“ და სხვა. დავანებოთ ამას თავი, რადგან იმას, ვინც ლანძღვა-გინებას თავის სანაქებო ხელობადა სთვლის, იმას ვერაფრით ვერ აგრძნობინებთ, რომ ყოველი ბინძური სიტყვა მკითხველთა გემოვნების შებღალვაა, მწერლობის დამცირებაა და ლიტერატურული გარყვნილებაა.

დავანებოთ თავი იმასაც, რომ „ელვა“ წარბ-შეუხრელად აფათურებს ხელებს თავის მოწინააღმდეგეთა გულში, წარბ-შეუხრელად კითხულობს ვითომ მათს გულში მისგანვე შეთხზულ ბიწიერ განზრახულებებს სწორედ ისე, როგორც ერთი ცნობილი ბიუროკრატიული უწყება იქცევა გადამეტებულ იჭვნეულობისა გამო. დავანებოთ თავი, რადგან ისეთის სიტყვების თქმა იდეიურ მოწინააღმდეგეებზე, რომ „მათს ქამელეონურს ბუნებას ნამუსი დაუკარგნია და ჰორიკანული ნაცარ-ქექიაობისთვის მიუყვია ხელი“ და სხვა, მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ იმის მთქმელი ფეხ-ქვეშ მტკიცე ნიადაგს არა ჰგრძნობს და მეტის-მეტი სიმწარისაგან კაპასობს.

დავანებოთ თავი იმასაც, რომ „ელვას“ ვეღარ მოუხერხებია ერთი-ერთმანეთისაგან გაარჩიოს „ცნობ. ფურც.“, „ივერია“, „პატარა გაზეთი“ და „ახალი დროება“, დავანებოთ თავი, რადგან ვინც სიკაპასისაგან ლანძღვა-გინებას იწყებს, იმას ისიც მიემატება, რომ დომხალივით აურიოს ერთმანეთში ისეთი გაზეთები, რომელთა შორისაც თითქმის არავითარი მსგავსება და განსხვავება კი მეტად დიდია.

მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან ყური მოვიყრუოთ მაშინ, როდესაც გვითამამებულს „ელვას“ ჩვენის გაზეთიდან ისეთი ციტატები მოჰყავს, რომელსაც ნამდვილად ჩვენის გაზეთის ფურცლებზე ვერასოდეს ვერავინ ჰნახავდა, რადგან ამ ციტატებში გამოთქმულს აზრებთან ჩვენ არაფერი არა გვაქვს საერთო „ელვა“ სწერს:

> მერე რატომ განრისხებულან სოციალდემოკრატიაზე ეს „საქართველოს მხსნელები“, რას აბრალებენ მას?
>
> — სოციალდემოკრატია „დაუფიქრებლათ“ იწვევდა ხალხს შეიარაღებული აჯანყებისაკენ, მან „წინდაუხედავათ გამოიწვია“ დეკემბრის აჯანყება და მით ტყუილ უბრალოთ დაღვარა მოუმზადებელი ხალხის უმანკო სისხლიო—იძახის „ივერია“ გულმტკივნეულათ. „მე დიდი ხანია, რაც მაგას ვამბობ, მაგრამ არ იქნა, არავინ დამიჯერა“—დასძენს „ხალხის მოყვარე „ცნობის ფურცელი“.

„ელვას“ ამ ჟამად თავი არ შეუწუხებია იმ ადგილის ჩვენებით ჩვენს გაზეთში, საიდანაც ეს ციტატა მოჰყავს, მაგრამ ბევრიც რომ ეცადოს, ამას ვერც მოახერხებს, რადგან ჩვენს გაზეთში ასეთ სიტყვებს ვერსად ვერ იპოვის. ჩვენ ყოველთვის პირდაპირ ამის წინაამდეგს ვამბობდით. აი საბუთიც:

> „ნურავინ იტყვის, რომ ყველა ის მსხვერპლი, რომელიც სრულიად უდანაშაულოდ შეეწირა რევოლიუციამ დეკემბრის და იანვრის განმავლობაში, ვწერდით 8 თებერვალს, უბრალო მსხვერპლი იყოს. არა, სისხლს თვითეული წვეთი გულს აცოცხლებს, გაფხიზლებს, თვალს გვიხელს და გვარწმუნებს, რომ ცვლილება საჭიროა. რამდენადაც უფრო წმინდაა ეს სისხლი, რამდენადაც უფრო უდანაშაულოა მსხვერპლი, იმდენად უფრო რწმუნდება კაცი, რომ საჭიროა ძირითადი ცვლილება, რომ სხვაფრივ ცხოვრება შეუძლებელია“.

აი კიდევ მეორე დამამტკიცებელი საბუთიც; ცხრა თებერვალს ჩვენ ვწერდით:

> უძლიერესი მიზეზი დეკემბრის დამარცხებისა ის არის, რომ ოქტომბრის შემდეგ რუსეთის ბურჟუაზიამ ზურგი შეუქცია და იმისი დიდი ნაწილი რეაქციასთან ერთად პირდაპირ შეებრძოლა რევოლიუციას. დეკემბერში მებრძოლ ძალთა ურთიერთობა თვალსაჩინოდ განსხვავდებოდა ოქტომბრისაგან და სწორედ ამ გარემოებას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა მოსკოვის ბრძოლისთვის.

ცხადია, რომ „ელვა“ ცილის წამების წერას აუტანია, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, ჯერ ამ საშუალებით თავის სიმართლის დამტკიცება ისტორიაში ვერავის მოუხერხებია და თუ „ელვა“ მოახერხებს, ამასაც ვნახავთ.

ელს ვიტე მარიო

ხუთ მარტს ფლორენციაში გარდაიცვალა ცნობილი რევოლიუციონერი ქალი ელს მარიო, მეგობარი გარიბალდისა და მაძინისა და თანამოზიარე მათის საქმისა.

ელს მარიო იყო ქალი ერთ ინგლისელ ნავთამშენებლისა იგი დაიბადა 1832 წელს; განათლება ბირმინგჰამში ჰქონდა მიღებული და იმ თავითვე იღებდა მონაწილეობას მწერლობაში. იტალიაში მოგზაურობის დროს ელს მარიო გაეცნო გარიბალდის, მაძინის, ორსინის და სხვა განთქმულ იტალიელ რევოლიუციონერებს და გატაცებით შეიყვარა იტალიის განთავისუფლების საქმე. ინგლისში რომ დაბრუნდა, თავისი „მოგონებანი“ გამოსცა, კითხულობდა საჯარო ლექციებს იტალიაზე და უმტკიცებდა ინგლისის საზოგადოებას, რომ „იტალია იტალიელებისა უნდა იყოს“-ო. მარიოს მხურვალე ქადაგების წყალობით არა ერთი თანამგრძნობი შეეძინა ახალგაზდა იტალიას, რომელიც თავგამოდებული იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის.

მარიო საბოლოვოდ გადასახლდა იტალიაში და თავის ქმართან ერთად რევოლიუციონერების მოწინავე რაზმში იდგა ყოველთვის. ელს მარიომ მიიღო მონაწილეობა თითქმის ყველა საყურადღებო ექსპედიციაში, რომელსაც-კი გარიბალდი ხელმძღვანელობდა. სხვათა შორის კეთილშობილი ინგლისელი ქალი ვოგეზის დაშქრობაშიაც იღებდა მონაწილეობას, როცა დიდსულოვანი გარიბალდი შეეშველა პრუსიელებისაგან დამარცხებულ საფრანგეთს.

სამწერლო ასპარეზზე ელს მარიომ სახელი მოიხვეჭა გარიბალდისა და მაძინის ბიოგრაფიებით.

1883 წელს მარიო დაქვრივდა და მას შემდეგ ფლორენციაში სცხოვრობდა, მაგრამ მოყვასის სამსახურისათვის მოხუცებაშიაც არ დაუნებებია თავი: ახალგაზდურის გატაცებით მუშაობდა გლეხებისა და ქალაქელ მუშების ეკონომიური ცხოვრების გასაუმჯობესებლად (სურათი იხილე „ცნ. ფურ.“-ის დღევანდელ დამატებაში).

საზღვარ-გარედ

საფრანგეთის საქმეები.

საფრანგეთის პარლამენტის რეაქციონერები თავგამოდებით ებრძოდნენ რუვიეს სამინისტროს—პარლამენტის დამტკიცებული კანონი საეკლესიო საქმეების შესახებ რად მოჰყავს სისრულეშიო; არც უკიდურესი მემარცხენენი იყვნენ სამინისტროს კმაყოფილი—პირველი მინისტრი რუვიე მეტად ზომიერი რესპუბლიკელია და საერთაშორისო საქმეშიც დემოკრატიის სურვილის წინააღმდეგ იქცევაო, რადგან სწორედ აქ ღალატობდა თავის ზომიერებას. შეერთებულის ძალ-ღონით რეაქციონერებმა და სოციალისტებმა გადააყენეს რუვიე. მაგრამ რეაქციონერებს მეტად ცუდი ანგარიში მოუვიდათ: შესდგა სარიენის სამინისტრო, რომელშიაც შინაგან საქმეთა მინისტრად განთქმული რადიკალი ჟორჟ კლემანსოა. სხვას რომ თავი დავანებოთ მარტო კლემანსოს შინაგან საქმეთა მინისტრად ყოფნა კმარა ახალ სამინისტროს დასახასიათებლად: კანონი აღსრულებული იქნება სავსებით, რეაქციონერები ვერ შესძლებენ გვერდი აუხვიონ მას, რადგან კლემანსო მეტად გამოცდილი და გამჭრიახი პოლიტიკური მოღვაწეა და კარგად აქვს შესწავლილი კლერიკალების ზნე და ხასიათი. რეაქციონერებზე ნაკლებ არც ზომიერი რესპუბლიკელები ჯავრობენ ახალ სამინისტროს რადიკალურ ხასიათის გამო და საბუთიც აქვთ გაჯავრებისა.

კურიერში (ჩრდილოეთ საფრანგეთში) საშინელი უბედურება დატრიალდა: ქვანახშირის მადნების მაღაროები ჩამოინგრა და ორი ათასამდე მუშა იმსხვერპლა. ამ უბედურებამ ძლიერი მღელვარება გამოიწვია მუშებ შორის და დღეს 30 ათასამდე მუშა გაფიცულია. ყველა ღრმად დარწმუნებულია მადნების პატრონთა უსინდისობით: აუარებელ ფულს იგებენ და იმდენ ფულსაც ვერ იმეტებენ, რომ მაღაროები მტკიცედ ააგონ და საბრალო მუშები სიკვდილს გადაარჩინონ. როცა გაფიცვა დაიწყო, ყველას ის აინტერესებდა, თუ ახალი სამინისტრო ამ მხრივ რა გზას დაადგებოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრი კლემანსო ყოველ ღონეს ღონობს ეს გამწვავებული უთანხმოება მშვიდობიანის გზით გაათავოს. ამ მიზნისათვის კლემანსო თვითონ წავიდა კურიერში ადგილობრივ მოსალაპარაკებლად მუშებთან. მისვლისთანავე მინისტრმა მოისურვა იმ გერმანელ მუშების ნახვა, რომელნიც ფრანგ ამხანაგების საშველად მოსულიყვნენ, მაგრამ რადგან ამ დროს ეს მუშები საქმეზე იყვნენ, კლემანსომ სთხოვა პრეფექტს გადაეცა მათთვის უღრმესი მადლობა—საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობა მეტად აფასებს გერმანელ მუშების ასეთ ქცევასო.

კლემანსო ჯერ მუშების მეთაურებთან წავიდა: შევიდა მათ ოთახში, დაჯდა მათთან და უთხრა: „მოვედი შევატყობინოთ, თუ რა ღონისძიებით მსურს წესიერების დაცვა“-ო. ერთმა მუშათაგანმა მაშინვე უთხრა—არ გვინდა, რომ აქ ჯარის-კაცები მოიყვანოთო.—თქვენ ვერც კი ნახავთ ჯარის კაცებსო, უპასუხა კლემანსომ, მაგრამ ისიც უნდა გესმოდეთ, რომ მადნები უნდა დავიცვა. თუ მადნები განადგურდა, ეს თქვენივე ზარალი იქნება. ჯარის-კაცებს თვით მადნების შენობაში დავაყენებთ და ქუჩაში არ გამოვლენ, თუ წესიერება არ დაარღვია ვინმემ. რაც შეეხება თქვენს საქმეს მადნის პატრონებთან, მე არ ჩავერევი; შემიძლია მხოლოდ რჩევის მიცემა, და როცა ჩემი შუაკაცობა დაგჭირდეთ, დეპეშით შემატყობინეთ და მოვალო.

მეთაურებთან მოლაპარაკების შემდეგ მინისტრი წავიდა მუშების კრებაზე და მიჰმართა თუ არა კრებას პირველის სიტყვით—„მამულიშვილნო“-ო, მთელმა დარბაზმა ტაში დაუკრა. კლემანსომ რომ თავისი სიტყვა გაათავა, ერთი მუშა წამოდგა და კრებას უთხრა—„მამულიშვილნო! ჩვენთან მოვიდა მინისტრი ჩვენის უფლების დასაცველად. მსგავსი აქამდე არაფერი გვინახავს. პირველად არის, რომ შეგვიძლია დავძახოთ—„გაუმარჯოს მინისტრს“ და საპასუხოდ მთელმა დარბაზმა იგრიალა—გაუმარჯოს მინისტრსაო.

საფრანგეთის ბურჟუას ვერაფრად მოსწონს მინისტრი, რომელსაც მუშები ასეთის აღტაცებით ეგებებიან.

ახალი სამინისტრო არ მოსწონს რუსეთის ეხლანდელ მთავრობასა და მის თანამგრძნობლებს და არც საკვირველია. ორი უფრო გავლენიანი წევრი სამინისტროსი, კლემანსო და გარეშე საქმეთა მინისტრი ბურჟუა, ძველი მტრებია რუსეთის ეხლანდელ წესწყობილებისა. კლემანსო, სხვა გამოჩენილ ფრანგებთან ერთად, ენერგიულ აგიტაციას ეწეოდა ბოლო დრომდე, რომ რუსეთის მთავრობას სასესხებელი ფული ვერ ეშოვნა საფრანგეთში. საფრანგეთის კარი დაკეტილია რუსეთისთვის, სანამ ბოლო არ მოეღება ეხლანდელ აუტანელ წეს-წყობილებას.

რუსეთი

ერთი მილიონის გატაცება. მთელი რუსეთი განცვიფრებულია იმ გაბედულებით, რომელიც გამოიჩინა მოსკოვში საურთიერთო კრედიტის ბანკის გამძარცველმა რაზმმა. დანამდვილებით არავინ იცის, ვინ იყვნენ ესენი: უბრალო მძარცველები, თუ რევოლიუციონერები. გაძარცვა მოხდა საღამოს 6 საათზე, როდესაც ბანკში მხოლოდ მსახურები და შიკრიკები იყვნენ. როდესაც მოხელეების უმრავლესობა წავიდა, ხოლო დანარჩენთ ფულის თვლას მიჰყვეს ხელი, ბანკის სადგომში 20 შეიარაღებული კაცი შევიდა. თვალის დახამხამებაზე იმათ შეჰკრეს გასავლები, მერე ეცნენ მსახურებს და შეჰბოჭეს. ამის შემდეგ მიჰყვეს ხელი შკაფების მტვრევას. ყველა ამას თავსდამსხმელნი ძლიერ გვირცხლად და მოხერხებულად აკეთებდნენ. რაც-კი ბანკში იყო, თითქმის სულ წაიღეს; სანამ ისინი შკაფებს ამტვრევდნენ, მოხელეები, მათის ბრძანებით, ისხდნენ უძრავად; თვითეული მძარცველი საქმის გათავების შემდეგ სადგომიდან გადიოდა. ბოლოს სულ რამდენიმე კაცი დარჩა. ამათის ბრძანებით მოხელეები წამოდგნენ და მწკრივად სარდაფებისაკენ გასწიეს, სადაც 15 წუთს უნდა დარჩენილიყვნენ. ამ ხნის განმავლობაში ყველამ მოასწრო წასვლა. როგორც აღმოჩნდა, ბანკიდან წაუღიათ სულ 865,000 მან. 60 კ. ოქრო და ქაღალდი. პოლიციის რაზმს, რომელიც იქვე ბანკის სადგომის ახლო იდგა, ძლიერ გვიან გაუგია, თუ რა ხდებოდა ბანკში და რევოლვერი გაუსროლია. შემდეგ ბანკშიც შეცვენილან, მაგრამ იქ აღარავინ დახვედრიათ. მეორე დღეს დარაჯები დაუყენეს ბანკის სადგომში.

დიდ-ძალი მომხრეები ჰყავდათ, საფრანგეთის ბევრი კუთხე მეტად უკმაყოფილო იყო პარიზის გაბატონებისა და, რაკი მონტანიარების ძალმომრეობის ამბავი შეიტყვეს, აშკარა აჯანყების გზას დაადგნენ. ამ გვარად მეფის მომხრეთა აჯანყებას ვანდეაში ზედ დაერთო ჟირონდისტების აჯანყება სამხრეთ საფრანგეთში. რესპუბლიკის მდგომარეობა მეტად საშიში გახდა. დანტონი, რომელიც „შველა-ხსნის კომიტეტის“ წევრი იყო და მთელ მაშინდელ პოლიტიკას ხელმძღვანელობდა, სასტიკ ღონისძიებისა და რეპრესიის წინააღმდეგი იყო: ხერხიანის მოქმედებითა და მოლაპარაკების გამართვით სცდილობდა აჯანყებულების შემორიგებას. პირველი ხერხი მთავრობისა აჯანყების ჩასაქრობად ახალ კონსტიტუციის გამოცხადება იყო. ეს კონსტიტუცია ცნობილია „1793 წლის კონსტიტუციის“ სახელით.

„1793 წლის კონსტიტუცია“ ნამდვილ დემოკრატიულ წეს-წყობილების გამოთქმაა: ყოველ ფრანგს, რომელიც-კი ოცდა ერთ წელზე ნაკლები არ არის, ყველა პოლიტიკური უფლებები აქვს, მიუხედავათ იმისა დიდი ქონების პატრონია იგი თუ ღარიბ-ღატაკი; მთელი საფრანგეთი დაყოფილია საარჩევნო ოლქებად; თითოეულ ოლქში დაახლოვებით 50 ათასი სულია; საარჩევნო ოლქი პირდაპირ ირჩევს დეპუტატს უმაღლეს საკანონმდებლო დაწესებულებაში. ხალხი რომ თავის წარმომადგენლებს ირჩევს საკანონმდებლო დაწესებულებაში, ამითი ხალხის უაღრესი უფლება ამ წარმომადგენლების ხელში გადადის და ხშირად ხდებოდა ხოლმე, რომ წარმომადგენლები ხალხის სურვილის მაგიერ საკუთარ სურვილებს იკმაყოფილებდნენ. 1793 წლის კონსტიტუციით ხალხის უაღრესი უფლება, სუვერენობა სავსებით არ გადადიოდა დეპუტატების ხელში; საკანონმდებლო დაწესებულების დადგენილებას კანონის ძალა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ საარჩევნო ოლქების უმრავლესობა თავის საარჩევნო კრებებზე მოიწონებს ამ დადგენილებასო, ამბობდა კონსტიტუცია. ამ გვარად „ვეტო“-ს უფლება წმინდა დემოკრატიული უფლება უნდა ყოფილიყო, რადგან იგი ხალხის ხელში გადადიოდა. აღმასრულებელი ორგანოც ხალხს უნდა აერჩია: საარჩევნო ოლქები ასახელებდნენ კანდიდატებს და ამ კანდიდატებიდან საკანონმდებლო დაწესებულება ირჩევდა ოცდახუთ წევრიან აღმასრულებელ ორგანოს.

1793 წლის კონსტიტუციისთანა დემოკრატიული, ნამდვილ ხალხოსნური კონსტიტუცია საფრანგეთში არასოდეს არ ყოფილა: ხალხის სუვერენობა უზრუნველ-ყოფილი იყო არა მარტო საყოველთაო საარჩევნო უფლებებით, როგორც ეს დღეს არის საფრანგეთში, ხალხს პირდაპირი მონაწილეობა უნდა მიეღო კანონმდებლობაში—„ვეტო“-ს უფლება მის ხელში იყო: საფრანგეთის რესპუბლიკის ნამდვილი სენატი თვით საფრანგეთის ერი უნდა ყოფილიყო.

ახალ კონსტიტუციის გამოცხადებამ ბევრ აჯანყებულს დააყრევინა იარაღი. მართლაც აჯანყებულ პროვინციელებს ყველაზე უფრო პარიზის დიქტატურის ეშინოდათ; 1793 წლის კონსტიტუციამ გააქარწყლა ეს შიში—უკანასკნელი სიტყვა ვეტოსა და რეფერენდუმის შემოღებით ისევ პროვინციას რჩებოდა, რადგან ხალხის უმრავლესობა პროვინციაში ცხოვრობდა; ეშინოდათ ერთის კაცის (რობესპიერის) გაბატონებისა მაგრამ კონსტიტუციით აღმასრულებელი უფლება გადადიოდა ოცდახუთ წევრიან ორგანოს ხელში და ამ ოცდა-ხუთ კაცის არჩევაში პროვინციასაც უნდა მიეღო მონაწილეობა; მორწმუნეებს, სამღვდელოების აგიტაციისა და ინტრიგების წყალობით, იმის შიში ჰქონდათ, რომ კონვენტი ეკლესიებს დაჰკეტდა და სარწმუნოებას მოსპობდა; კონსტიტუცია-კი სრულ თავისუფლებას ანიჭებდა ყველას ღვთისმსახურების საქმეში. ერთის სიტყვით, ახალი კონსტიტუცია არსებითად ყველას აკმაყოფილებდა, აჯანყებულების უმრავლესობამ იარაღი დაჰყარა, რესპუბლიკელები ისევ შეერთდნენ, რომ ბოლო მოეღოთ ვანდეისა, ლიონისა და ტულონის აჯანყებისათვის: მხოლოდ ამ ადგილებში იყო, რომ იარაღი არ დაჰყარეს, აქ იყო, რომ კონვენტს დასჭირდა უკიდურეს და საშინელ ღონისძიებათა მოხმარება აჯანყების ჩასაქრობად.

1793 წლის კონსტიტუცია საფრანგეთის ერს წარუდგინეს მისაღებად 14 ივლისს და კენჭის ყრა გათავდა 22 ივლისს. ათ აგვისტოს, რესპუბლიკის სადღესასწაულო დღეს, კონსტიტუციის შემდგენელმა ჰეროდე სეშელმა გამოაცხადა მარსის ველზე: „ფრანგებო! თქვენი წარმომადგენლები შეეკითხნენ საფრანგეთის 86 დეპარტამენტის გონებასა და სინიდისს, და 86 დეპარტამენტმა მიიღო საკონსტიტუციო აქტი. არასოდეს ასე ერთ სულ არ მოუწყვიათ ასე დიდი და სახელოვანი რესპუბლიკა. ერთის წლის წინად ჩვენ ტერიტორიაზე მტერი იყო დაბანაკებული; გამოვაცხადეთ რესპუბლიკა და მტერიც დავამარცხეთ. ეხლა, როცა საფრანგეთი გვინდა მოვაწყოთ, ყოველის მხრიდან მტერი მოგვადგა. შევფიცოთ ერთმანეთს, რომ კონსტიტუციას დავიცავთ, სანამ სული გვიდგია პირში. რესპუბლიკა დაუსრულებელია“.

ახალ კონსტიტუციის ასეთის აღტაცებით მიღება მთელის საფრანგეთის მიერ იმას კი არ ამტკიცებს, რომ იმ დროს საფრანგეთში ყველა წმინდა წყლის დემოკრატები იყვნენ; არა, პირდაპირ აჯანყებულების გარდა, სხვაც ბევრი იყო დემოკრატიულ რესპუბლიკის წინააღმდეგი, მაგრამ დრო ისეთი იყო, საფრანგეთი ისეთ საშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რომ ყოველ ფრანგს მამულიშვილურ მოვალეობად მიაჩნდა მხარი დაეჭირა ახალ კონსტიტუციისათვის—კონსტიტუციის წინააღმდეგი სამშობლოს მოღალატედ იყო მიჩნეული.

ახალი კონსტიტუცია გამოცხადებული და ხალხისაგან მიღებული იყო და კონვენტს არჩევნები უნდა დაენიშნა, რომ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე ახალი საკანონმდებლო საერო კრება შემდგარიყო. მაგრამ მტერ შემოსეული, აჯანყების ცეცხლით მოცული საფრანგეთი როგორ უნდა შესდგომოდა მშვიდობიან პოლიტიკურ მოწყობის საქმეს? ყველასათვის ცხადი იყო, რომ თუ კონვენტი შესწყვეტდა თავის მოქმედებას და საფრანგეთის ერი ახალ მართვა-გამგეობის დამყარებას შეუდგებოდა, მტერი, გარეშე თუ შინაური, ამით ისარგებლებდა და განთავისუფლებულ საფრანგეთს ცუდი დღე დაუდგებოდა. საფრანგეთის ერის მთელი ყურადღება და ძალ ღონე მტრის წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული, რომ არ განადგურებულიყო. მხოლოდ ამ უკიდურეს მდგომარეობით აიხსნება ის გარემოება, რომ კონვენტი პირველი შეიქნა მის მიერვე შემუშავებულ კონსტიტუციის დამრღვეველი: კონვენტში გაბატონებული მონტანიარები იძულებული იყვნენ გადაედოთ 1793 წლის კონსტიტუციის განხორციელება და ასე რომ არ მოქცეულიყვნენ, ჟირონდისტების შეცდომას გაიმეორებდნენ. განწვავებულ ბრძოლის დროს, როცა მტრის ხანჯალი გულის გამირვას გიქადის, სასამართლოსა და კანონებზე ფიქრი შეუძლებელია. ამიტომაც მოხდა, რომ კონვენტმა დაადგინა—საფრანგეთის ეხლანდელი მთავრობა დროებითია და ეს დროებითი მთავრობა რევოლიუციონურია, სანამ მშვიდობიანობა არ დამყარდებაო.

1793 წლის კონსტიტუციის გამოყენება ამ გვარად გადადო, ვიდრე მშვიდობიანობის დამყარება იყო დანიშნული და, რადგან ეს მშვიდობიანობა არ ეღირსა საფრანგეთის ერს, არც ეს კონსტიტუცია განხორციელებულა.

ვ. ლ—ძე.

რევოლიუციონური მოძრაობა. ასეთივე გაბედული იყო ვარშავაში პოლიტიკური პატიმრის ზალესკის გატაცებაც, რომელსაც სიკვდილით დასჯა ჰქონდა გადაწყვეტილი. ადმინისტრაციამ მიუდგომელ ციხის „პავიაკის“-ამ რომელშიც იჯდა ზალესსკი, ჯარის მოყვანაც-კი ვერ მოასწრო, ისე უცებ მოხდა ეს საქმე. როდესაც ზალესკი გაანთავისუფლეს, უცნობთ რევოლიუციონურის სიმღერებით პავლინის ქუჩაზე გაიარეს. ციხის დარაჯებთან შეტაკების დროს მოჰკლეს ერთი დარაჯი, ხოლო ორი დასჭრეს.

როგორც ხმა დადის, პეტერბურგში, გვარდიის ერთ ქვეითა პოლკის სადგომიდან წაუღიათ 300 თოფი. პოლკიდან ერთი სალდათიც დამალულა.

ქ. ეკატერინბურგში 5 შეიარაღებული კაცი შევიდა ველცის სტამბაში და წაიღო 20 ფუთი შრიფტი.

ხმები რკინის გზის მოხელეთა გაფიცვის შესახებ. ხელახლად გავრცელდა ხმა რკინის გზის მოხელეთა გაფიცვის შესახებ. ეხლა ამბობენ, რომ რკინის გზათა დელეგატების კრება უკვე მომხდარა და ამ კრებას გადაუწყვეტია ახლო მომავალში გაფიცვა მოახდინოს. მხოლოდ გაფიცვის დაწყების დღე არ დაუნიშნავთ.

მანევრები. მომავალ სახელმწიფო სათათბიროს სადგომის ახლოს არტილერიის ჯარის კაცთ გამოუტანიათ 4 ზარბაზნის ყუთი უზარბაზნებოდ და მანევრები გაუმართავთ. მაყურებელი ხალხი ბევრი მოაწყდა მანევრებს. ყველას აკვირვებს, რას ნიშნავს მანევრები შუა ქუჩაში, იქ, სადაც „ხალხის წარმომადგენელნი“ უნდა შეიკრიბნენ.

რევოლიუციონერთა კრება. ხმა დადის, რომ პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა აცნობა გუბერნატორებსა და გრადონაჩალნიკებს, ფინლიანდიაში ახლო მომავალში მოხდება რევოლიუციონერთა კრება, რომელზედაც განხილულ იქნება საკითხი სახელმწიფო სათათბიროსთან დამოკიდებულებისა და ამისდაგვარად აქტიურ მოქმედების შესახებაო. დეპარტამენტის დირექტორის სიტყვით, რევოლიუციონერებს აზრადა აქვთ სახელმწიფო სათათბიროს ძალა დაატეხონ, მოიწვიოს ხალხის წარმომადგენელნი ოთხ წევრიან ფორმულით. ამიტომ დირექტორი ავალებს მოხელეებს, მიიღონ შესაფერი ზომები.

აჯანყების მოლოდინში. რუსეთში ახლო მომავალში ადმინისტრაცია აჯანყებას ელის. ამიტომ ეხლავე ანაწილებენ ჯარს ქალაქებსა და სადგურებში. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორი დუბასოვი დარწმუნებულია, რომ მუშათა შორის მოძრაობა და მღელვარება, ამიტომ საქმეს შესდგომია: უკვე დაუსრულებია ჯარის სხვა და სხვა ადგილებში განაწილება.

„წითელი ჯვრის“ მოწყალება. „წითელ ჯვარს“ დამშეულთათვის გაუგზავნია 30,000 ბისკვიტი, რომელიც სულ დამპალი გამომდგარა. ეს ბისკვიტები 100,000 მანეთად დასჯდომიათ.

ღია წერილი

ბ-ნთ ფ. გოგიჩაიშვილს და კ. თუმანიშვილს.

წარსულ წლის 10 დეკემბერს ყოველდღიური გაზეთი „ივერია“ დაიხურა და მე, თქვენს რედაქციაში რეპორტიორად მყოფს, დღესაც ანგარიში არ გამისწორებია თქვენთან. რადგან საქმე მორიგებით ვერ გათავდა, ამიტომ გიწვევთ სამედიატორო სამართალში. პასუხს ორს დღეზე ველი. თუ დათანხმდებით, მედიატორეებს დავასახელებ.

რ. ბებიაშვილი.

დეპეშა

პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან.

13 მარტი

მოსკოვი. მოსკოვის გუბერნიის მაზრებიდან ქალაქებმა აირჩიეს ამომრჩევლებად 4 ზომიერი ვაჭარი, 1 ზომიერი აზნაური, 1 პარტიის გარეშე მდგომი, 7-17 ოქტომბრისტი, 9 კადეტი, 8 უკიდურესი მემარჯვენე; 11 ვაჭარ-მრეწველთა პარტიისანი. ფაბრიკა-ქარხნების მუშებისაგან ამომრჩეველთა რიცხვში მოხვდა 4 სოც.-დემოკრატი, 4 კადეტი, 1 ვაჭარ-მრეწველთა პარტიისა და 1 პარტიას გარეშე მყოფი. მოსკოვის ბანკები შუამდგომლობენ, სახელმწიფო ბანკი მხოლოდ დღის 4 საათამდე იღებდეს ფულს მიმდინარე ანგარიშით, რათა ბანკში დიდძალი ფული არ დარჩეს მოგროვილი.

ალჟესირასი. კონფერენციამ მიიღო 5 პირველი მუხ. პოლიციის შესახებ შემუშავებულ პროექტისა. 3-მა უკანასკნელმა მუხლმა შესახებ საპოლიციო ინსპექციისა სერიოზული კამათი გამოიწვია. ავსტრიის დელეგატმა აზრი შეიტანა დიპლომატიურ კორპუსს ტანჟერში მიენდოს საპოლიციო კონტროლი ინსპექტორის საშუალებითო. რადოვიცმა შენიშნა, გერმანიისათვის ამ კონტროლს ყველაზე დიდი მნიშვნელობა აქვსო. მე იძულებული ვიქნები თავი გავანებო კონფერენციას, თუ ეს პუნქტი უკუგდებულ იქნებაო. მიუხედავათ ამისა დელეგატების უმეტესობა იმ აზრისაა, რომ კონფერენცია მშვიდობიანათ დასრულდება.

ვაშინგტონი. ამერიკის დელეგატი აუწყებს მთავრობას, კონფერენციამ ფაქტიურად მიიღო საკითხი მაროკოს პოლიციისაო.

ეკატერინოსლავი. სამხედრო სასამართლომ გლეხ მთროდკოვს ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა ისეთ წრეში მონაწილეობისათვის, რომელსაც სახელმწიფო წესწყობილების დანგრევა აქვს სახეში. სასამართლო შუამდგომლობს, სასჯელი შეუმსუბუქდეს დამნაშავეს. მეშჩან ვინოგრადოვს 15 წ. კატორღა გადაუწყვიტეს სამხედრო ყარაულისთვის წინააღმდეგობის გაწევისათვის.

ვლადივოსტოკი. მიშჩენკოს განკარგულებით დაიხურა გაზეთი „ვოსტოკ“. რედაქტორ-ემელიანოვი და სეკრეტარი პავლოვი რუსეთის შიდა გუბერნიებში გაიგზავნა.

პეტერბურგი. 14 მარტს ქალაქის კრებამ აირჩია ზლატოუსტში 2 ინჟინერი, ვაჭარი და 2 კანტორის გამგე. უსტ-სისოლსკში—მეშჩანი—უფლებრივ წესრიგის პარტიისა. ბენდერის მაზრაში—მაზრის მარშალი, მღვდელი და ორი გლეხი, კიშინევის მაზრაში—საერობო უფროსი. წვრილ მემამულეთა კრებაზე ვერხოტურიაში აირჩიეს 3 მღვდელი, 4 ვაჭარი, ექიმი და მოხელე. ყველანი პროგრესისტებია. ვოლოსტების რწმუნებულთაგან მოგოროდცკის, სტაროშელსკის, ლებედინსკის, იზიუმისა და კუპიანსკი მაზრებში აირჩიეს ამომრჩევლებად 39 გლეხი.

ბრიანსკი. ტეხნიკურ სასწავლებელში ბომბამ იფეთქა. პედაგოგიურმა საბჭომ თავად-აზნაურთა მარშლის თანდასწრებით დაადგინა გამორიცხოს ყველა შაგირდები 4 უფროსი კლასისა.

ეკატერინოსლავი. ალექსანდროვსკი ქუჩაზე დღის 1 საათზე შეიჭრა 5 კაცი ფოსტის განყოფილებაში, მოსთხოვა მოხელე გუსევს ფულები, 30 ტყვია ესროლეს მას და მიიმალნენ. გუსევი გარდაიცვალა. ძებნამ არავითარი შედეგი არ მოიტანა.

ბერლინი. პრუსიის დეპუტატთა პალატის კომისიამ მიიღო უცვლელად საარჩევნო პროექტი.

ვეისენფელსი. გაიფიცნენ გერმანიის შუაგულ რაიონის ნახშირის მაღაროების მუშები, რიცხვით 3,000 კაცი.

ტომსკი. სემინარია სამოსწავლო წლის ბოლომდე დაიხურა. პანსიონერ მოსწავლეებს მოსთხოვეს სადამოს 5 საათამდე დასცალონ სემინარიის შენობა. სემინარიის კორპორაცია სთხოვს სამოსწავლო კომიტეტს გამოძიება დანიშნოს.

დონის-როსტოვი. ნახიჩევანში კერძო ბინაზე იპოვნეს არა ლეგალურ ლიტერატურის საწყობი და 6,600 პატრონა მაუზერის.

ბერლინი. „ბერლ. ტაგებლატ“-ის ცნობით გერმანელ მუშათა ერთ ჯგუფს განზრახვა აქვს საპასუხოთ გაემგზავროს სამეცნიერო მიზნით სამხრეთ რუსეთის სამრეწველო რაიონებისაკენ. მოგზაურობაში მონაწილეობას მიიღებენ წევრები ქრისტიან მუშებისა და ჰირშ-დუნკერსკის კავშირებისა, სოციალურ რეფორმების საზოგადოებისა და სხვა.

14 მარტი.

პეტერბურგი. ინგლის-სპარსეთის ბანკის ბილეთებისადმი უნდობლობა თეირანსაც მოედო. აუარებელი ხალხი იდგა ბანკის კარებთან და ქაღალდის ფულს ვერცხლისაზე ახურდავებდა. ვერცხლი უკლდას გახდა. წესიერება არ დარღვეულა. სპარსეთის ტელეგრაფი გაფუჭებულია და გადაეცა ახალს არენდატორს 200,000 მან. დამატებით. აქ ძლიერი ალიაქოთი გამოიწვია ოსმალეთში შეიარაღების გამოცხადებით სპარსეთის მოსაზღვრე ოლქებში. მთავრობა ყოველ ღონის ძიებას ხმარობს სადაო საკითხი მშვიდობიანობით დასრულდეს.

ჩიტა. დასრულდა საქმე ფოსტის კავშირსა და გაფიცვებში მონაწილეობის მიღებისა. ბრალს 14 კაცს სდებდნენ. სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს ფოსტა-ტელეგრაფის კანტორების უფროსებს ზამოშნიკოვს, ხმლევს, კოსტილევს, ანდრიევსკის, რიბინს, ბერგმანს, როზოვს, იოსებ დმიტრიევს, აფანასიევს, მოიდიუპს, გრეკოვს სოსნოვსკისა და ბოგოიავლენსკის. გაამართლეს ვასილ დმიტრიევი.

პეტერბურგი. გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე აირჩიეს სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლებათ თ. ვიაზემსკი და ხომუთოვი, ორივე გუბერნატორებათ ნამყოფია.—გდოვში კრებაზე აირჩიეს კადეტი.—ყაზანის გუბერნიაში სპასკში ამომრჩევლებით აირჩიეს წვრილ მემამულეთაგან 6 გლეხი მათ რიცხვში ერთი თათარიც; ბორისოგლებსკში მაზრის ვოლოსტების რწმუნებულთა კრებაზე გამოცხადდა 60 ამომრჩეველი. აირჩიეს 13 გლეხი.

პეტერბურგი. ხარკოვის გუბერნიიდან კუპიანსკი მაზრაში აირჩიეს 9 რწმუნებული, ამათში 5 კადეტია; იზიუმისა და ლებედინის მაზრებში 5—5 პარტიას გარეშე მდგომი; უფის გუბერნიიდან ქალაქ ბირსკში—ერთი ზომიერი მაჰმადიანი და უკიდურეს მემარჯვენეთა კრების სეკრეტარი; კოლომნაში ქალაქის კრებაზე საერობო გამგეობის თავმჯდომარე,—კადეტი, 17 ოქტომბრისტი და ერთი პარტიის გარეშე მდგომი ექიმი; ბრონიცში—ორი ვაჭარ-მრეწველთა პარტიისა; ოდოევში—მსხვილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს ორი „მეფისა და წესრიგის“ პარტიის წევრი; ბრესტ-ლიტოვსკში თ.-აზნაურთა მარშალი,—მონარქისტი და 3 პარტიას გარეშე მდგომი მამასახლისი ვოლოსტისა; კოპრინში გლეხთა კრებაზე—მასწავლებელი და 4 სახლის პატრონი; იარენსკში ვოლოსტების კრებამ ხელმეორედ აირჩია პროგრესისტები; კაშირაში ქალაქის კრებაზე—ქალაქის თავი 17 ოქტომბრისტი; ბუზულუკში ქალაქის კრებაზე აირჩიეს 8 კადეტი; ზლატოუსტში მემამულეთა კრებიდან მემამულე და მღვდელი, ვოლოსტებიდან სამი რუსი და ორი ბაშკირი.—სენატმა გააუქმა გამამართლებელი განაჩენი სასამართლოსი ხოდსკისა და კატელნიკოვის საქმეზე, შესახებ „ნაშა ჟიზნ“-ში დაბეჭდილ მუშების მანიფესტისა.

ლონდონი. პეკინიდან იუწყებიან, ქვრივმა დედოფალმა მიიღო იუანშიკაის-მიერ გამოგზავნილი შიკრიკები, მიუხედავათ სამხრეთის მეფეების თანაშემწეთა წინააღმდეგობისა. ეს შიკრიკები იუანშიკაიმ ამას წინათ რომ არეულობები მოხდა, იმის გამოსაძიებლად გაგზავნა. ამ ფაქტს დიდს მნიშვნელობას აძლევენ, ვინაიდან ამათი იზღუდვის უკვე მეფეს თანაშემწეთა რწმუნებანი და მყარდება ფაქტიური დიქტატურა იუანშიკაისა.

პეტერბურგი. წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს მხოლოდ 21 რწმუნებული, 30-ის მაგიერ. ამათში 5 კადეტია, 4 17 ოქტომბრისტი და 12 პარტიას გარეშე მდგომნი. უმეტესობა გლეხებია.

მოსკოვი. ქალაქის ამომრჩევლებმა კოლომნაში აირჩიეს საერობო გამგეობის თავმჯდომარე შჩეპკინი კადეტი და ექიმი ლიზოვსკი, თ.-აზნაურთა ყოფილი მარშალი სტრუვე, ინჟინერი რუდოვი და ვაჭრები კომინი და ბიკოვი.

ბრონნიცა. აირჩიეს ზიმინი და შიშკოვი—ორივე წევრი ვაჭარ-მრეწველთა პარტიისა. ქალაქიდან ამომრჩევლად რუზაში აირჩიეს ქალაქის სტაროსტა ვარდანკინი—მონარქისტი.

სამარა. თავად-აზნაურთა კრებაზე სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლად აირჩიეს გუბერნიის თ.-აზნაურთა მარშლად ნამყოფი ჩემოდუროვი, ბუზულუკის თ.-აზნაურთა წინამძღოლი ბულგაკოვი და წევრი უფლებრივ წეს-რიგისა.

ვორონეჟი. თ.-აზნაურთა კრებაზე სახელმწიფო საბჭოში ამომრჩევლად აირჩიეს გუბერნიის მარშალი ალეხინი და გუბერნიის საკრებულოს ყოფილი წევრი ხარცევიჩი,—ორივე პროგრესისტია.

პეტერბურგი. ვაჭრობისა და მანუფაქტურის საბჭოს მიერ ამორჩეულ ამომრჩეველ პალის მაგიერ, რომელმაც უარი განაცხადა ამომრჩევლობაზე, აირჩიეს ფაიფურის ქარხნის დირექტორი კორნილოვი—ქაღალდის ფულის რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება სახელმწიფო ბანკის კასებში. ერთის კვირის განმავლობაში 1-დან 8 მარტამდე 16,4 მილიონ მანეთამდე ავიდა ქაღალდის ფულის რაოდენობა. ეს იმითი აიხსნება, რომ სასესხო-გასასესხებელი ოპერაციები შემცირებულ იქმნა. ამიტომ ბანკის საბჭომ დაადგინა, ნუღარ დაატრიალებს სახელმწიფოში 25 მილიონ მანეთის ქაღალდის ფულს და ეს ჯამი 14 მარტისთვის უნდა განადგურებულ იქნას.—ქაღალდის ფულის ჯამი 1240-დან 1215 მილიონზე ჩამოვიდა.—სადამოს გაზეთები იუწყებიან, 13 მარტს დამით დაიწვა იატაკი ტავრიჩესკი სასახლის შენობის საბიბლიოთეკო განყოფილებისა. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა არაა ჯერ გამორკვეული. ზარალი 3000 მანეთია. ცეცხლი დღის 3 საათზე ჩააქრეს. სასახლის გალავანთან და ჭიშკართან არავის არ უშვებენ ახლოს.—ქალაქ ევპატორიიდან ამომრჩევლად აირჩიეს კადეტი. კოზმოდემიანსკში აირჩიეს ქალაქის თავი,—ზომიერი ლიბერალი; ყაზანის გუბერნიის ქ. სპასკში—6 გლეხი, ამათში 5 რუსია და 1 თათარი; მოსკოვში—მებატონე, 2 მღვდელი, 3 გლეხი; კრასნოლუკაში—მღვდელი, 3 მეშჩანი, ებრაელი, 2 გლეხი; კობრინში—4 მებატონე, საერობო უფროსი, პროკურორის ამხანაგი,—ზომიერი ლიბერალები.

ასხაბადი. სეისტანიდან ოფიციალურად იუწყებიან, 11 მარტამდე შესრულებაში 16 კაცი გახდა ავად, მოკვდა 11, ავათაა 5. არავითარი დისციპლინა არაა იქაურ დამშეულ სალდათებში, საკარანტინო ზომებს ყურადღებასაც არავინ აქცევს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

14 მარტი

პეტერბურგი. დაინიშნა სათათბიროს წევრების არჩევნები ესტლიანდიისა, კურლიანდიისა და ლიფლიანდიის გუბერნიებში,—პირველში 14-ს, და უკანასკნელებში 20 აპრილს.

„ნოვოე ვრემია“ იუწყება, სახელმწიფო საბჭოს 3 მარტის სხდომაზე სჯა-ბაასი ჰქონდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებაზე შესახებ დასავლეთ მხარეში ადგილობრივის და რუსულ ენების ხმარებისა კერძო საზოგადოებათა საქმის წარმოებაში. მინისტრის პროექტით კერძო საზოგადოებათა საქმის წარმოებაში უნდა შემოღებულ იქნას ადგილობრივი ენა გარდა საქმის წარმოებისა, რომელიც მთავრობის მხედველობის ქვეშაა. სახელმწიფო საბჭოს წევრთა უმეტესობა დაეთანხმა მინისტრის აზრს და დასძინა, რომ ზოგიერთი გუბერნიები დასავლეთ მხარისა კერძო საქმის წარმოებაში ადგილობრივ ენასთან რუსულსაც უნდა ხმარობდნენ.

„სლოვო“-ს სიტყვით ადესის ყოფილი გრადონაჩალნიკ ნეიდგარდტისა და მინსკის გუბერნატორ კურლოვის საქმეებს უმართებულეს სენატის პირველი დეპარტამენტი 15 მარტს გაარჩევს.

ამავე გაზეთის სიტყვით, ხმები დადის, რომ ამ დღეებში მთავრობა გამოაქვეყნებს თავის საფინანსო პროგრამმას, რომელიც შეეხება მიწას, ქალაქის უძრავ მამულებს, სამრეწველოებს, მემკვიდრეობასა და თამბაქოზე არსებულ გადასახადის წესის შეცვლას. გარდა ამისა წინადადებას მისცემენ სათათბიროს შემოიღოს შემოსავლის კვალობაზე პროგრესიული გადასახადი ელექტრონის ენერგიასა და ქაღალდზე. შაქარზე გადასახადის მომატება მოუხერხებლად იქნა ცნობილი. ხარჯის შემცირება სახელმწიფო სათათბიროს მოწვევამდე გადაიდო.

„რეჩი“ ამბობს: „როგორც გავიგეთ, რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ადგილზე ინიშნება პსკოვის კადეტთა კორპუსის კლასების ინსპექტორი პოლკოვნიკი ლევშინი“.

აღმოსავლეთ-ჩინეთის გზის ექსპლოატაციის ბალანსი აჩვენებს, რომ 20 მილიონი მან. ზარალი მოსვლია სახელმწიფოს.

გაზეთები იუწყებიან, ხმები დადის, რომ ფინლიანდიის გენ.-გუბერნატორი გერარდი აღარ დაბრუნდება თავის პოსტზეო.

ვლადივოსტოკი. გადაკრულ მატროსებსა და კაზაკთა პატრულს შორის შეტაკება მოხდა. არიან დაჭრილები.

მთავარ-სარდლის განკარგულებით ქალებსა და ბავშვებს წინადადება მიეცათ დასტოვონ მანჯურია, რადგანაც მდგომარეობა ძლიერ საშიშია.

ბელოსტოკი. ხე-ტყის მრეწველ ოლინის ბინაზე შეცვივდა 15-მდე შეიარაღებული კაცი, რომელთაგან ერთს ბომბა ჰქონდა ხელში. ბოროტ-განმზრახველთ გაადეს კასა, გაიტაცეს ფულები და ძვირფასეულობა და წავიდნენ.

სტამბოლი. სულთანმა ბრძანა, შეუდგნენ შეიარაღებას და მობილიზაციას მოახდინონ ოსმალთა ჯარში, რადგანაც სპარსეთისა და ბოლგარეთის საზღვრებზე, შესაძლებელია, გართულდეს მდგომარეობაო.

ირწმუნებიან, რედვან-ფაშის მკვლელი ორი ქურთია, რომელნიც დაატუსაღეს უკვე.

ნიუ-იორკი. შანხაიში ამერიკის დიდ-ძალ მეომარ გემებს მოუყრიათ თავი. ეშინიათ, არ განმეორდეს ბოქსერების აჯანყება.

ბელოსტოკი. კეტტის ქვედ სასაფლაოზე ბომბამ იფეთქა.

ჰელსინგფორსი. სენატმა შეიმუშავა ბეჭდვის თავისუფლების წესდების პროექტი.

ვოზდვიჟენსკაია. ჩეჩნებმა დასჭრეს ყარაული სალდათი. ასტეხეს განგაში, მოცვივდნენ მილიციონერები, გამართეს პირის-პირი სროლა, მაგრამ ბოროტ განმზრახველთ ისარგებლეს სიბნელით და მიიმალნენ.

ვილნო. დროებით დაიხურა ქიმიკო-მექანიკური სასწავლებელი.

ვენა. „ცაიტ.“ იუწყება, განზრახულია ახლო მომავალში გააძლიერონ გარნიზონი, რადგან ნოვობაზარსკი სანჯაკში საშიში მდგომარეობაა.

უნგრეთის ვაჭრობის მინისტრმა ნება მისცა პროკურორს დაიჭიროს ხოლმე გაზეთების ამანათები უწინასწარ უწყებოთ. გარდა ამისა, მან ნება დართო თვალ-ყური ადევნონ კორესპონდენციას და განსაზღვრულ შემთხვევაში დაიჭირონ კიდეც.

სევასტოპოლი. ძარცვა-გლეჯისა და მკვლელობის შესახებ ყველა საქმეები სწრაფ სასამართლოს გადაეცემა და დამნაშავე სიკვდილით დაისჯება.

პეტერბურგი. ხელმწიფემ შიკმანსა და მორსკის სიკვდილი უვადო კატორღაზე შეუცვალა.

პოლტავა. არეულობა დაიწყო კნიაზ კანტაკუზინის მამულში სოფელ ბურომში. კნეინამ ყაზახები ითხოვა ტელეგრაფით.

ეკატერინბურგი. რევოლვერით მძიმედ დასჭრეს ალაპაევსკის ქარხნის გამგე ინჟინერი ადოლფი.

პერემიშლი. სახელმწიფო სათათბიროში ამომრჩევლებად აირჩიეს მემამულე, შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი, თ. ურუსოვი და წევრი საგუბერნიო საკრებულოსი ბელენკი.

ბახმუტი. ადგილობრივ ბანკებსა და ხაზინას შეიარაღებული სალდათები იცავენ.

კამიშლოვი. წვრილ მემამულეთა კრებაზე აირჩიეს 11 მღვდელი და ერთი მასწავლებელი.

ბელგრადი. გუშინ მეფის თავმჯდომარეობით სხდომა ჰქონდათ შესახებ ინგლისის წინადადებისა, რომ იგი განაახლებს სერბიასთან დიპლომატიურ განწყობილებას, თუ მეფის მკვლელები გაძევებული იქნებიანო. ამ საკითხის შესახებ ორ ბანაკად გაიყო კაბინეტი: სტოიანოვიჩსა და მისს სამს ამხანაგს სურვილი აქვთ ბოლო მოუღონ ამ საქმეს და თანახმანი არიან მიიღონ ინგლისის პირობები; დრჩი და ორი სხვა წევრი მთავრობისა უარს ამბობენ პირობაზე. მეფის მკვლელთა პარტიის საწინააღმდეგო მტრობა ძლიერდება, ფიქრობენ, კრიზისი აუცილებელიაო.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი.

განცხადებანი

თანახმად 17 ოქტომბრის 1905 წლის სახელმძღვანელოს მე-6 მუხლისა, რომელიც განმარტავს იმ პირთა სიების შედგენას, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში, ამით ვუცხადებ ყველა იმ პირთ, რომელთაც 11 დეკემბრის 1905 წლის უმაღლესის უკაზით მინიჭებული აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა გორის მაზრის მიწათმფლობელთა ყრილობაში, ე. ი. იმ მიწის მოიჯარადრეებს და მოურავებს მამულებისა, რომელთა ზედაც დადებულია სახელმწიფო საერობო გადასახადი (ზემსკი სბორი) არა ნაკლებ 15 მანეთისა წელიწადში და რომელნიც, მასთან ერთად, მოიჯარადრობენ ანუ მოურავობენ მამულს არა ნაკლებ ერთის წლისა, რომ იგინი იქნებიან შეტანილნი და აღნიშნულნი საარჩევნო სიებში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაცხადებენ პირადათ, ანუ წერილობით თავიანთს სურვილს არჩევნებში მიღებისას. თავიანთის უფლების დასამტკიცებლად, აღნიშნულნი პირნი მოვალენი არიან წარმოადგინონ: მოიჯარადრეებმა—პირობის წერილები და და მოურავებმა—აგრეთვე პირობის წერილები ანუ ვექილობანი მამულის მოურავობისა (მე-7 მუხლი სახელმძღვანელოსი). პირობის წერილები და ვექილობა შეიძლება იქნას წარმოდგენილი როგორც ასლნი, ისე მათი პირები, შემოწმებული ან ნოტარიუსის, ან პოლიციის მოხელის ანუ მომრიგებელ მოსამართლის მიერ. ზემოხსენებული განცხადებანი მიიღება გორის სამაზრო პოლიციის სამმართველოში ოცდა-ოთხ მარტამდე ამა 1906 წ. და თვით ამ უკანასკნელ დღესაც.

გორის მაზრის უფროსი კაპიტანი ლეონტიევი. (ნ. 3—3)

ახლად დაბეჭდილი
სამზარეულო
ფასი 1 მან. 50 კაპ.

ისყიდება წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგ. კიოსკში, ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, ალექსანდრეს ბაღის კუთხეში, ქ. ტფილისში. ვისაც ათის ან მეტის ეგზემპლიარის ყიდვა სურს, მიმართოს ქართველთა ამხ. კანტორას, ვანქის ქუჩაზე, ამხ. სტამბაში. (ზ.)

ქ. ფოთში მიიღება ხელის მოწერა გაზეთ „ცნობის ფურცელზე“ დ. გურიელის „ნაკადულზე“ ბ. არჩუაძის წიგნის მაღაზიაში.

ქართველ მკითხველ რკინის გზით მგზავრების საყურადღებოდ
დაიბეჭდა და ისყიდება სადგურ მიხაილოვის ბილეთის კასაში საინტერესო ახალი თანამედროვე რომანი ორ ნაწილად
ცხოვრება და სიყვარული

წიგნი დიდი ზომისაა, დაწერილია დღევანდელ კითხვებზე, ცოლ-ქმრის კავშირზე და სქესობრივ დამოკიდებულებაზეა. დაბეჭდილია სუფთად, მშვენიერის კანით, მაგრა შეკრული, შეიცავს 350 გვერდს და ღირს მხოლოდ ორი აბაზი. იქავე ისყიდება სხვა წიგნებიც და აგრეთვე 1905 სრულ წლის გაზეთი „ცნობის ფურცელი“, გაგზავნით, სარჩევით და შინაარსით მხოლოდ 4 მანეთი. მისამართი: Ст. Михайлово, первому билетному кассиру Чхартишвили. (10—6)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 16 მარტს, შუადღის 12 საათზე, ქალაქის გამგეობის დასწრებით მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით: 1) ქალაქის მიწა I საპოლ. ნაწილში, ზომით 3 დესეტ. 1748 ოთხკუთხ. საჟ. ქვიშის და სხვა მასალის მოხმარების უფლებით; 2) ქალაქის მიწა ანდრეევის ქუჩაზე, ზომით 450 ოთხკუთხი საჟ. შეშის საწყობის გასამართავად და 3) ბინა და უფლება სახაიეს გასამართავად ქალაქის საქონლის ბაზში. მსურველთ შეუძლიათ გაიცნონ ყველა პირობები გამგეობის მეოთხე განყოფილების კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ. 2—2)

გაიხსნება 10 მარტიდან გოლოვინის პროსპექტზე, ცირკის გვერდით, ახალი სასტუმრო „პურ მარილი“, სადაც შეიძლება შოვნა ყოველ-ნაირ სასმელ-საჭმლისა, ქართულ და ევროპიულ გემოვნებაზე, იქვე არის ბილლიარდი და აუზი თევზებით. სამი ბლუდი სადილი ღირს—50 კაპ. და იაფათაც.

პატივისცემით იოსებ მუხარიძე. (6—5)

იყიდება

შეშა: თელისა, მუხისა და კუნელისა 4 არშინიანი, საჟენი 25 მან. ჩამოტანით გომის სადგურზე. წერილით მომმართეთ: Ст. Гоми, Ильѣ Николаевичу Ципамдзгварову. (2—2)

სწრაფმბეჭდავი „წიგნების გამოც. ქართვ. ამხ.“-სა. ვანქის დიდი ქუჩ. ტელეფონი № 378.